

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 4 (304)
აპრილი
2022

25 წელი იქნა...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№4(303)

აპრილი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფედერაციიდან	3
პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად რუბრიკას უძღვება გაცი ალვერდაშვილი ფასდადგენა – პრაქტიკული საკითხები მოდული – „საქმიანობის შედეგების მართვა“	4
საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება გამოცდის ჩაბარების ტექნიკა	11
<i>საბა ძაძამია</i> ბუღალტერია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გლობალური ეკონომიკის მომავლისთვის	18
სტუდენტები და დამსაქმებლები სწავლებისა და განვითარების პროცესში ინოვაციებს მოითხოვენ	20
ოფიციალური მასალები	22
კითხვა-პასუხი	32
ინფორმაცია პირუბიდან	38

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“ ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა
გადაეცა წარმოებას 13.05.2022. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.05.2022.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,75. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

ბაფის გამოცდების ცხრილი 2022 წლის ივლისი



1. გამოცდები ყველა მოდულში ჩატარდება პროფესიონალ ბულალტერთა ინსტიტუტის შენობაში მისამართზე: ქ. თბილისი, დიდუბე, ბაქრაძის ქ. N6^ა
2. გამოცდები დაიწყება 10⁰⁰-დან -11⁰⁰ სთ-მდე (ოთახების შევსებისთანავე) ცხრილში მოცემული გრაფიკით.
3. რეგისტრაცია დაიწყება 10⁰⁰ სთ-ზე. ბაფის წევრობის მოწმობისა და პირადობის მოწმობის გარეშე კანდიდატი არ დაიშვება გამოცდაზე.
4. გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება რეგისტრაციის ნომრების მიხედვით ვებგვერდზე www.gfpa.ge განათლება და სერტიფიცირება/სერტიფიცირებული პროგრამა/ გამოცდები /გამოცდის შედეგები – 20 ივლისის ყველა გამოცდის დასრულების შემდეგ.

მოდული	გამოცდის თარიღი	გამოცდაზე რეგისტრაციის ვადები	გამოცდის დაწყების დრო	დაიყვანით
F1/ბბ	4.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	• გთხოვთ გამოცდებზე ონლაინ დარეგისტრირდეთ მითითებულ ვადებში. • ონლაინ დარეგისტრირების გარეშე პირი გამოცდაზე არ დაიშვება. • გამოცდის ონლაინ რეგისტრაციის განაცხადი შეგიძლიათ გააუქმოთ გამოცდამდე მინიმუმ 3 დღით ადრე. • აუცილებლად გაეცანით გამოცდის გამოქვეყნებულ წესებს. • ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გამოცდის თარიღისათვის გამოცდის წესებში შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები.
F2/მა	6.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F3/ფა	2.07.2022	01.06.2022-27.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F4/ქბს	8.07.2022	01.06.2022-01.07.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F4/GBL	8.07.2022	up to May 28 th	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F5/სშმ	6.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F6/სდ	10.07.2022	01.06.2022-03.07.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ (კალკულატორი სავალდებულოა)	
F6/BT	10.07.2022	up to May 28 th	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F7/ფან	2.07.2022	01.06.2022-28.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F8/ამმ	4.07.2022	01.06.2022-28.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
F9/ფმ	6.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
P2/სსა	4.07.2022	01.06.2022-28.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
P4/უფმ	8.07.2022	01.06.2022-01.07.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
P7/უამმ	2.07.2022	01.06.2022-27.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	
სბლ	6.07.2022	01.06.2022-30.06.2022	10 ⁰⁰ -11 ⁰⁰ სთ	

გამოცდებზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ მითითებულ ვადებში!

F3/ფა – F7/ფან – P7/უამმ	2.07	F4/ქბს – P4/უფმ – F4/GBL	8.07
F1/ბბ – F8/ამმ – P2/ სსა	4.07	F6/სდ – F6/ BT	10.07
F2/მა – F5/სშმ – F9/ ფმ – სბლ	6.07		

შენიშვნა: გთხოვთ გაითვალისწინეთ, რომ 2023 წლის იანვრიდან I და II ეტაპის მოდულების გამოცდის საფასური იქნება 250 ლარი.

ფასდადგენა – პრაქტიკული საკითხები

მოდული – „საქმიანობის შედეგების მართვა“

ამ სტატიის პირველი ნაწილში, როგორც გახსოვთ, განვიხილეთ ფასდადგენის გადანყვეტილებების თეორიული ასპექტები, ხოლო ამ სტატიაში განვიხილავთ ამ გადანყვეტილებებთან დაკავშირებულ ძირითად პრაქტიკულ მიდგომებს.

გავლენა პროდუქციის ფასის განსაზღვრაზე

ფასდადგენის გადანყვეტილებებზე ზემოქმედ ფაქტორებს ხშირად შემდეგ კატეგორიებად ყოფენ:

- **დანახარჯები** – სარეალიზაციო ფასი უნდა ფარავდეს წარმოების დანახარჯებს. დანახარჯების გამოთვლა შესაძლებელია რამდენიმე გზით: ზღვრული დანახარჯი, გაწეული მთლიანი (სრული) დანახარჯები, სასიცოცხლო ციკლის დანახარჯები და რელევანტური დანახარჯები. ამის შემდეგ ფასის დასადგენად გამოიყენება „დანახარჯებს პლუს ფასნამატის“ მიდგომა, ანუ ფასნამატი დაემატება პროდუქციის ერეთულის დანახარჯს. არცერთი კომპანია არ უგულებელყოფს დანახარჯებს პლუს ფასნამატის მიდგომას, მაგრამ როგორც ვნახავთ, აღნიშნული მიდგომა ყოველთვის არ იძლევა საუკეთესო პასუხს ფასდადგენის გადანყვეტილებების მისაღებად;
- **მომხმარებლები** – რამდენად არიან მზად იმისთვის, რომ გადაიხადონ მოცემული პროდუქტისთვის? ფაქტობრივად, ეს ეხება პროდუქტზე მოთხოვნის ფასის ელასტიურობას და მის მოთხოვნის ფუნქციას, როგორც ეს განვიხილეთ სტატიის პირველ ნაწილში. თუ დანახარჯები ძალიან მაღალია, არავინ იყიდის პროდუქტს, ან არ იყიდის საკმარისად დიდი მოცულობით;
- **კონკურენტები** – არსებობენ? რა არის კონკურენციის სიძლიერე? რას უხდინან? თუ ბევრი კონკურენტი ყიდის ძალიან მსგავს პროდუქტებს, მაშინ კომპანიებს მცირე მოქნილობა აქვთ ფასდადგენის შესახებ გადანყვეტილებების მიღებაში: ყველა მათგანი უნდა ითვალისწინებდეს მიმდინარე საბაზრო ფასს. თუ კომპანია მონოპოლიური მომწოდებელია, მას გაცილებით მეტი თავისუფლება აქვს თავისი სარეალიზაციო ფასის არჩევანში. მიაქციეთ ყურადღება, რომ მონოპოლისტებს არ სჭირდებათ მოგების მიღების გარანტია: მათ შეუძლიათ სცადონ ისეთი პროდუქტის გაყიდვა, რომელიც არავის სჭირდება.

არსებობს რამდენიმე განსხვავებული მიდგომა ფასების დასადგენად, რომლის გამოყენება კომპანიას შეუძლია.

ამ სტატიის დანარჩენ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ სწორედ ამ განსხვავებულ მიდგომებს.

დანახარჯებზე დაფუძნებული ფასები

ზღვრული დანახარჯი

თუ პროდუქტის ზღვრული დანახარჯი იყო \$120 და კომპანიას ჰქონდა პოლიტიკა, დაემატებინა 25% ფასსამატი, მაშინ გასაყიდი ფასი იქნებოდა \$150. შედეგად კომპანია მიიღებდა პროდუქციის ერთეულზე \$30 ზღვრულ მოგებას. ისმის კითხვა: ფარავს მთლიანი ზღვრული მოგება მუდმივ დანახარჯებს ისე, რომ კომპანიის მოგება დამოკიდებული იყოს მუდმივ დანახარჯებსა და გაყიდული პროდუქციის მოცულობაზე?

ამრი არა აქვს ცვლად დანახარჯებზე დაბალი სარეალიზაციო ფასის დაწესებას, თუ კომპანია ხელშეკრულების გამო არ იქნება იძულებული, ასე რომ მოიქცეს (მაგალითად, თუ დანახარჯები გაიზარდა რეალიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ), ან კომპანია თავიდანვე არ იყო მზად, დაეკარგა ფული იმის გამო, რომ შესულიყო ახალ ბაზარზე მაგ., სარეკლამო ფასდათმობები.

მთლიანი დანახარჯები

თუ ზღვრული დანახარჯები იყო \$120 და მუდმივი ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი \$40 ერთეულზე, მაშინ მთლიანი დანახარჯები იქნება \$160. 20%-იანი ფასსამატის დამატების შედეგად სარეალიზაციო ფასი გახდება \$192. მაშასადამე, პოტენციურად კომპანია პროდუქციის ერთეულზე მიიღებს \$32 მოგებას.

ამ მიდგომის უპირატესობა ის არის, რომ თუ პროდუქტი კარგად არ იყიდებოდა \$192-ად, კომპანიას შეეძლო ფასის შემცირების საკითხის განხილვა. თუ კომპანიას სურდა 20%-იანი ფასსამატის შენარჩუნება, მას უნდა მოეძებნა პროდუქტის დანახარჯების (\$160-ის) შემცირების გზები. მთლიანი დანახარჯები მოიცავს როგორც ცვლად, ისე მუდმივ დანახარჯებს, ამიტომ კომპანია, სავარაუდოდ, ვერ უგულებელყოფს მუდმივი საწარმოო დანახარჯების შემცირების მცდელობის მნიშვნელობას, ვერც ცვლადი საწარმოო დანახარჯების შემცირებას.

სასიცოცხლო ციკლის დანახარჯები

დანახარჯების კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის მიხედვით ითვალისწინებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში განეულ ყველანაირ დანახარჯს: წარმოების დაწყებამდე განეულ გარდაუვალ დანახარჯებს, წარმოების დანახარჯებს და წარმოების შემდგომ დანახარჯებს. გრძელვადიან პერსპექტივაში პროდუქტიდან მიღებული მთლიანი ამონაგები არ უნდა იყოს მთლიან დანახარჯებზე ნაკლები, რომლებიც აუცილებელია პროდუქტის შექმნის, მისი წარმოებისა და წარმოების შეწყვეტისთვის.

მაგალითად:

პროდუქტის შექმნის საწყისი დანახარჯები და საწარმოო ხაზისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენა = \$2 მლნ

ცვლადი საწარმოო დანახარჯები და მუდმივი დანახარჯები, რომლებიც განეულია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში = \$10 მლნ

პროდუქტის წარმოების შეწყვეტის დანახარჯები (მაგ., რეაბილიტაციის დანახარჯები + თანამშრომელთა შემცირების პოტენციური დანახარჯები – მანქანა-დანადგარების სალიკვიდაციო დანახარჯები) = \$1 მლნ

ასე, რომ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის დანახარჯები \$13 მლნ-ია.

თუ კომპანიამ შეაფასა, რომ ის აწარმოებს და გაყიდის 2 მლნ ერთეულ პროდუქტს, პროდუქტის ერთეულის სასიცოცხლო ციკლის დანახარჯები იქნება \$6,50, ხოლო თუ კომპანიას გრძელვადიანი მოგების მიღება სურს, სარეალიზაციო ფასი უნდა დაწესდეს ამ თანხაზე მეტი.

დანახარჯთა კალკულაცია სასიცოცხლო ციკლის მიხედვით ხაზს უსვამს ყველანაირი დანახარჯის გათვალისწინების მნიშვნელობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი დაიფაროს ახალი პროდუქტის წარმოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით. კერძოდ, ამ მიდგომის დროს შესაძლებელია ყურადღების გამახვილება წინასწარი დანახარჯების მნიშვნელობაზე, რადგან პროდუქტის შექმნაზე მეტი ხარჯების გაწევით შეიძლება ბევრად მეტი ფული დაზოგოს შემდგომში მისი წარმოების დროს. ეს შეამცირებს სასიცოცხლო ციკლის საერთო დანახარჯებს და მოგების მიღება შესაძლებელი იქნება უფრო დაბალი და უფრო მიმზიდველი სარეალიზაციო ფასის პირობებში.

კალკულაცია რელევანტური დანახარჯებით

რელევანტური დანახარჯებით კალკულაციის დროს პროდუქტის ან ხელშეკრულების დანახარჯების შესაფასებლად გამოიყენება რელევანტური ფულადი ნაკადები. ეს არის მომავალი ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოიქმნება პროდუქციის წარმოების ან ხელშეკრულების გაფორმების შედეგად.

მაგალითად, ხელშეკრულების შესასრულებლად აუცილებელია:

1. კომპონენტები, რომლებიც ამჟამად მარაგში იმყოფება, რომელთა თვითღირებულება შეადგენდა \$12,000-ს. ისინი ამჟამად არ გამოიყენება ბიზნესში, მაგრამ მათი გაყიდვა შესაძლებელია \$10,500-ად.
2. ახალი კომპონენტები, რომელიც უნდა იყიდონ \$15000-ად.
3. დამატებითი თანამშრომლების ჩართვა ერთი წლით, \$20,000-ის ოდენობის ხელფასით.
4. ამჟამად უმოქმედო პერსონალის მონაწილეობა, რომლებიც ახალ ხელშეკრულებაზე იმუშავენ - \$16,000 ხელფასი.

ეს ელემენტები დამუშავდება შემდეგნაირად:

1. \$12,000 არის დაუბრუნებადი/წარსული დანახარჯები და არ არის რელევანტური. თუმცა, კომპანია დაკარგავს \$10,500-ის ოდენობის ფულად სახსრებს, თუ გაყიდვის ნაცვლად კომპონენტებს გამოიყენებენ წარმოებაში. ეს არის ხელშეკრულებისთვის რელევანტური დანახარჯები;
2. ეს რელევანტური დანახარჯებია. ეს არის ხელშეკრულებით გამოწვეული ფულადი სახსრების დამატებითი გადინება;
3. ეს რელევანტური დანახარჯებია. ეს არის ხელშეკრულებით გამოწვეული ფულადი სახსრების დამატებითი გადინება;
4. ეს არ არის რელევანტური დანახარჯები, რადგან მას არ გააჩნია დამატებითი ფულადი ნაკადების წარმოქმნის ეფექტი. თანამშრომლებს უხდიან და შემდგომშიც გააგრძელებენ მათ ანაზღაურებას, მაგრამ მათ უბრალოდ მოსთხოვენ დროის დახარჯვას ახალ ხელშეკრულებაზე სამუშაოდ.

ამგვარად, მთლიანი რელევანტური დანახარჯები შეადგენს: $\$10,500 + \$15,000 + \$20,000 = \$45,500$.

ეს არის მინიმალური ფასი, რომელიც უნდა მოითხოვონ ხელშეკრულებისთვის. ამაზე ნაკლები ნებისმიერი თანხის დროს კომპანია უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება.

„დანახარჯებს პლუს“-ზე დაფუძნებული ფასდადგენის ყველა მიდგომის დიდი ნაკლები მდგომარეობს შემდეგში: უბრალოდ იმის გამო, რომ არსებობს სარეალიზაციო ფასის განსაზღვრის მექანიზმი, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა წარმოებული ერთეული საერთოდ გაიყიდება ამ ფასად. კომპანია შეიძლება იყოს ძალიან არაეფექტური, ასე რომ, შესაძლებელია დანახარჯები და, აქედან გამომდინარე, სარეალიზაციო ფასები იმდენად აღმაშფოთებლად მაღალი იყოს, რომ არცერთი მომხმარებელი არ იყიდის საქონელს. მაშინაც კი, თუ ამ მიდგომის შედეგად განსაზღვრული ფასები არ იქნება ძალიან მაღალი, კონკურენტებმა შეიძლება საქონელი უფრო დაბალ ფასად შესთავაზონ ბაზარს.

დანახარჯებზე დაფუძნებული ყველა მეთოდი მთლიანად საკუთარ თავზე/კომპანიაზეა ორიენტირებული და ყურადღებას არ აქცევს მომხმარებლებს და კონკურენტებს. ამ მიდგომის გამოყენება მარტივია და ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში, მაგრამ კომპანიამ აუცილებლად უნდა შეხედოს მის მიერ განსაზღვრულ ფასს და გააანალიზოს, არის თუ არა ის რეალური.

ასევე აღსანიშნავია, რომ ფასების დასადგენად დანახარჯების გამოყენებამ ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლისუნარიან სარეალიზაციო ფასზე დაბალი ფასის დაწესება. მაგალითად, ბამბის მაისურის დამზადება შეიძლება \$3 დაჯდეს, მაგრამ თუ მასზე მოდური ბრენდის ლოგოს მიკუთვნება შესაძლებელია, პოტენციური სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად გაიზრდება, ბრენდთან დაკავშირების გამო, თუნდაც ლოგოს დატანება მაისურზე თითქმის არაფერი ღირდეს. ამ შემთხვევაში „დანახარჯებს-პლუს“ მიდგომის გამოყენებით განსაზღვრული სარეალიზაციო ფასი იმაზე უფრო დაბალი იქნებოდა, რის გადახდაზეც მომხმარებლები თანახმა იქნებოდნენ.

ფასდადგენა ბაზარზე „ნაღების მოხსნით“ და ფასდადგენა ბაზარზე შეღწევის მიზნით

ბაზარზე „ნაღების მოხსნის“ სტრატეგია გულისხმობს ახალი პროდუქტის ბაზარზე გატანას თავდაპირველად ძალიან მაღალ ფასად. გამყიდველი ვარაუდობს, რომ პირველ ეტაპზე საკმარისი იქნებიან ისეთი მომხმარებლები, რომლებსაც მოესურვებათ ბევრის გადახდა, რათა ერთ-ერთი პირველები იყვნენ მათ შორის, ვისაც ექნება ეს ახალი პროდუქტი. მართალია, ახალი პროდუქტის წარმოებაში გაშვების საწყის ეტაპზე წარმოების მოცულობა ხშირად შეზღუდულია, მაგრამ მაღალი ფასების დაწესებას პროდუქციის დაბალი მოცულობის პირობებში აზრი აქვს. შემდეგ ეტაპზე, მოკლევადიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ფასი დაიკლებს, რათა მომწოდებელმა მომხმარებელთა კიდევ ერთი ახალი ფენა მოიზიდოს. მერე და მერე, ბაზრის გაჯერებასთან ერთად ფასი სწრაფად იკლებს, სანამ არ მიაღწევს სტაბილურ დონეს და, შესაბამისად, კომპანია უკვე აითვისებს ბაზრის აუთვისებელ ნაწილებსაც. ეს მიდგომა გავრცელებულია მობილური ტელეფონებისა და ტექნოლოგიების ბაზრებზე.

ამის საპირისპიროდ, ფასდადგენა ბაზარზე შეღწევის მიზნით ნიშნავს ბაზარზე შესვლას აგრესიულად დაბალი ფასით. მიზანი ნათელია: ბაზრის დიდი წილის მოპოვება და დიდი მოცულობის რეალიზაცია. პროდუქციის დიდმა მოცულობამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის ერთეულზე დაბალი დანახარჯები (მაგალითად, მუდმივი დანახარჯები უფრო ვრცლად ნაწილდება) და ეს საშუალებას მისცემს კომპანიას, მოგება მიიღოს დაბალი ფასების პირობებშიც კი. ცხადია, ბაზარზე მიღწეულმა დომინირებამ შეიძლება გააძნელოს ახალი კონკურენტების ბაზარზე შესვლა, რადგან მათ შეიძლება გაუჭირდეთ ბაზრის ლიდერისნაირი მასშტაბის ეკონომიის მიღება, რაც აუცილებელია მოგების მისაღებად დაბალი სარეალიზაციო ფასის პირობებში.

ფასდადგენა დამატებითი პროდუქტის (თანაპროდუქტის) შეთავაზების გათვალისწინებით

მომხმარებლების მოსაზიდად საწყისი (საბაზო) პროდუქტი იყიდება დაბალ ფასად. ამგვარი პოლიტიკით მომხმარებლის ცთუნების შემდეგ, შეიძინოს საწყისი პროდუქტი, შემდგომი სწავლება, ტექნიკური მომსახურება და სახარჯი მასალები იყიდება შედარებით მაღალ ფასებში.

ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ჭავჭავაძის პრინტერების მაგალითი: პრინტერის ღირებულება \$70-ია; შემცვლელი კარტრიჯების კომპლექტის ღირებულება კი \$30!

ფასდადგენის ამგვარი სტრატეგიის დროს ყველაზე მეტი მოგება მიიღება შემდგომში, დამატებითი, თანაპროდუქტის რეალიზაციიდან და არა საწყისი, საბაზო პროდუქტიდან.

ფასდადგენა პროდუქციის ხაზისთვის ანუ პროდუქციის ხაზის შემადგენელი სხვა ელემენტების ფასების გათვალისწინებით

პროდუქტის ხაზი არის მწარმოებლის პროდუქტების ჯგუფი, რომლებიც მსგავსია დიზაინით, ფუნქციური შესაძლებლობებით და სამიზნე მომხმარებლებით. ეს ჯგუფი წარმოადგენს უამრავი განსხვავებული მახასიათებლისა და განსხვავებული ფასის მქონე პროდუქტების გარკვეულ ნაკრებს. მაგალითად:

- მობილური ტელეფონები: ეკრანის სხვადასხვა ზომა, გარჩევადობა, სიჩქარე და კამერის გარჩევადობა;
- ავტომანქანები: სხვადასხვა ძრავა, საღებავის ხარისხი, სალონის განსხვავებული აქსესუარები/მოდულები;
- სასტუმროს ნომრები: სხვადასხვა ზომის ოთახი, სხვადასხვა ტიპის საწოლი, ლუქსი, ოთახები ხედიდან და ხედის გარეშე.

პროდუქციის ხაზისთვის ფასდადგენის მიდგომის უპირატესობები:

- მყიდველებს შეუძლიათ თავიანთი შესყიდვების შეცვლა საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, სხვა მომწოდებელთან მისვლის გარეშე.
- ადამიანებს არჩევანის გაკეთებისას მოსწონთ ორიენტირები. საბაზო ავტომანქანის შეთავაზებამ შედარებით დაბალ ფასად, შეიძლება მომხმარებელს ახალი ინტერესი გაუღვივოს. ამ მიდგომის დროს კომპანია ადგენს ფასის საწყის დონეს ახალი ავტომანქანისთვის (და უზრუნველყოფს ფასის გარკვეულ დასაბუთებას), შემდეგ

მყიდველებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, უღირთ თუ არა უფრო უკეთესი მოდელის ყიდვა, სავარაუდოდ, გაითვალისწინებენ რა განსხვავებული მოდელების ფასებს შორის განსხვავებას და არა განსახილველი/შესარჩევი მოდელის მთლიან ფასს.

- ადამიანებს მოსწონთ არჩევანი. თუ მხოლოდ ავტომანქანის სალონის გაფორმებისა და ძრავის ერთ ვარიანტს გთავაზობთ გამყიდველი, გადაწყვეტილების მიღებამდე ალბათ სხვაგან წახვალთ.
- ძირითადი მოდელისა და უკეთესი მოდელის ფასებს შორის განსხვავების გაზრდა, როგორც წესი, ბევრად აღემატება უკეთესი მოდელის შესაქმნელად საჭირო დანახარჯების ზრდას. ეს გაყიდვების პერსონალს უკეთესი მოდელის მომგებიანად გაყიდვის საშუალებას აძლევს.

ფასდადგენა პროდუქციის მოცულობისთვის დაწესებული ფასდათმობის მიხედვით

ადამიანების უმეტესობას მოსწონს პროდუქციის მოცულობაზე დამოკიდებული გარიგებები, რადგან ხედავენ ფულის დაზოგვის გზას. მაგალითად, ასეთი შეთავაზება: იყიდეთ ერთი და მიიღეთ 50%-იანი ფასდაკლება მეორეზე.

მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები ხშირად გამოიყენება საწარმოთა შორის რეალიზაციის ოპერაციებში, რადგან უფრო მსხვილი პარტიების შესყიდვებიდან გამყიდველი მასშტაბის ეკონომიას იღებს (მომხმარებელზე ერთი მსხვილი პარტიის მიყიდვის ორგანიზება უფრო იაფია, ვიდრე ორი პატარა პარტიის). გარდა ამისა, ამგვარი სტრატეგია მომწოდებლის ბაზრის წილის გაზრდასაც გამოიწვევს.

თავის მხრივ, საცალო მოვაჭრეები სარგებელს იღებენ უფრო იაფი ფასებიდან და შეუძლიათ გადაწყვიტონ ამ ფასდათმობის გადაცემა თავიანთ საბოლოო მომხმარებლებზე. საცალო მოვაჭრეებისთვის შესყიდვის დაბალი დანახარჯები იმას ნიშნავს, რომ ისინი მოგებას ინარჩუნებენ მაშინაც კი, თუ უფრო დაბალ ფასებს გამოიყენებენ თავიანთი მომხმარებლებისთვის. შესაძლოა გინახავთ მსხვილი სუპერმარკეტები (რომლებსაც შეუძლიათ ფასდათმობების მოლაპარაკება პროდუქციის დიდ მოცულობაზე), რომლებიც უფრო იაფად სთავაზობენ საქონელს მომხმარებლებს, ვიდრე მათი მცირე ზომის კონკურენტები. თუ სუპერმარკეტს შეუძლია მომხმარებლისთვის ძალიან მიმზიდველი/საზრიანი ფასების შეთავაზება, მაშინ უფრო მეტი მომხმარებელი შევა მათ მაღაზიებში და, ალბათ, იქ სხვა საქონელსაც იყდიან.

ფასების დიფერენციაცია

ფასების დიფერენციაცია ნიშნავს ერთი და იმავე საქონლის შეთავაზებას სხვადასხვა ბაზარზე სხვადასხვა ფასად.

მაგალითად:

- ფარმაცევტული პროდუქტების ფასი რადიკალურად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, რაც დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის პაციენტების ცხოვრების დონეზე/შემოსავლებზე ან ჯანდაცვის მომსახურებაზე;
- მგზავრობისთვის ბილეთების წინასწარ შეძენა ხშირად ბევრად ნაკლები ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი სამგზავრო ბილეთების. აქ მომხმარებლების ორი ბაზარი არსებობს: ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი მგზავრობის წინასწარ

დაგეგმვა და მეორე, ადამიანები, რომლებსაც მოულოდნელად უწევთ მგზავრობა;

- აშშ-ში ელექტრო და ფოტოგრაფიული საქონელი ხშირად გაცილებით იაფად იყიდება, ვიდრე, ვთქვათ, დიდ ბრიტანეთში. მაგალითად, შესაძლებელია, რომ საქონელი აშშ-ში 100 დოლარი ღირდეს, ხოლო დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 100 ფუნტი.

გამყიდველები ცდილობენ თითოეულ ქვეყანაში მაქსიმალური გახადონ თავიანთი მოგება. როგორც სტატიის პირველ ნაწილში იყო ახსნილი, მოგება მაქსიმალურია მაშინ, როდესაც ზღვრული შემოსავალი ტოლია ზღვრული დანახარჯების. ამიტომ გამყიდველები თავიანთ ფასებს აკორექტირებენ თითოეულ ბაზარზე ამგვარი შედეგის მისაღწევად.

იმისათვის, რომ ფასების დიფერენციაციის სქემამ იმუშაოს, რთული უნდა იყოს იაფ ბაზარზე საქონლის ყიდვა და შემდეგ უფრო ძვირადღირებულ ბაზარზე გადატანა და გაყიდვა, ან მყიდველის პირადი სარგებლობისთვის, ან მოგებით გასაყიდად. ასე, მაგალითად, ფარმაცევტულ პრეპარატებს, რომლებსაც იდენტური ქიმიური ფორმულები აქვთ, სხვადასხვა სავაჭრო ნიშანი, ფერი, ფორმა და მარეგულირებელი ორგანოს დამტკიცება/ლიცენზია ექნებათ. ასე რომ პაციენტები ინერვიულებენ არასტანდარტული (ნაცრისფერი) იმპორტის გამო. ანალოგიურად, აშშ-ში შეძენილმა ელექტრო საქონელმა შეიძლება სხვაგან არ იმუშაოს ისე კარგად, რადგან მათ შეიძლება დასჭირდეს აშშ-ს ძაბვა 110 ვოლტი, ელექტროენერგიის სიხშირე 60 ჰც და მათი მიწოდებაც სხვაგვარ ელექტრო ჩამრთველებთან ერთად განხორციელდება. ფასების დიფერენციაცია ძალიან კარგად მუშაობს მომსახურების დარგებში.

დასკვნა

ფასდადგენა შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთი საკმაოდ მიმზიდველ საქმედ. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გარდა, ბევრი დანახარჯი ექვემდებარება ბუღალტერთა კონტროლს, საქონელზე ფასდადგენა ნიშნავს მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან, ეკონომიკასა და კონკურენტებთან ურთიერთქმედებას. იშვიათად არის სრულიად ნათელი, რომ სწორი ფასებია დაწესებული, რომლებიც კომპანიას მაქსიმალური მოგების საშუალებას მისცემს გრძელვადიან პერსპექტივაში. მაშინაც კი, თუ დღეს „სწორი“ ფასები იყო დაწესებული საქონელზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ფასები სტაბილური იქნება: ახალი პროდუქტები, წარმოების ტექნოლოგია, კონკურენტები და მათი ქცევა და ასევე მომხმარებლის გემოვნების ცვლილება მწარმოებლებს ფასების გადანყვეტილების მუდმივად გადახედვას აიძულებს.

*სტატია მოამზადა „საქმიანობის შედეგების მართვის“
მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა.*

მოდული „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“

გამოცდის ჩაბარების ტექნიკა

შესავალი

საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის (SBR) გამომცდელთა გუნდმა ლაკონურად ჩამოაყალიბა საკუთარი მიდგომა გამოცდაზე კანდიდატების ცოდნის შემოწმების შესახებ:

შევამოწმებთ კონცეფციების, თეორიების, პრინციპების ცოდნას და კანდიდატების უნარს, როგორ შეუძლიათ ამ ცოდნის გამოყენება რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

როგორ გამოიყურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კითხვის კარგი პასუხი? როგორ მივაღწიოთ ამას? სწორედ ეს ორი კითხვა გაგიჩნდებათ გამოცდისთვის მზადებისას.

პირველი კითხვა არც ისე რთული და გაუგებარია, როგორც თქვენ ფიქრობთ –

არსებობს მთელი რიგი იდენტიფიცირებადი კრიტერიუმები, რომლის მეშვეობით კარგი პასუხის ჩამოყალიბებაა შესაძლებელი საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის კითხვებისთვის; მეორე კითხვის პასუხი საკმაოდ ხმამაღალი ნათქვამია „გამოცდის ჩაბარების ეფექტური ტექნიკა“.

ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ამ ორ მჭიდროდ დაკავშირებულ კითხვას, რათა ინფორმაცია მოგაწოდოთ გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორების შესახებ, რომლებიც დაგეხმარებათ კარგი პასუხის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, გაგაცნობთ მეთოდებს, რომლის გამოყენება შესაძლებელია ამის მისაღწევად. თუ აღჭურვილი იქნებით კარგი ტექნიკური ცოდნით, გამოცდაზე ამ მეთოდების ცოდნა „რიგის თავში დაგაყენებთ“, როდესაც დაგჭირდებათ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის „საშვის მიღება“.

დროის მართვა და თქვენი მარშრუტი გამოცდის გავლით

უმაღლესი დონის ყველა გამოცდის მსგავსად, არც საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე არ გაქვთ კითხვების არჩევის შესაძლებლობა, მაგრამ თქვენ მაინც შეგიძლიათ არჩევანის გაკეთება; უფრო მეტიც, აუცილებლად უნდა გააკეთოთ არჩევანი იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან დაიწყებთ პასუხის გაცემას.

გამოცდაზე პასუხების გაცემის დაწყებამდე რეკომენდებულია რამდენიმე წუთის დახარჯვა კითხვების შესწავლაზე, რათა გაიგოთ მათი აზრი. ეფექტიანი მიდგომაა, დაიწყოთ თქვენთვის „საუკეთესო“ კითხვით. პირველი „საუკეთესო“ კითხვის

„პოვნა“ თავდაჯერებულობას შეგმატებთ. „საუკეთესო“ კითხვის არჩევა პირადი არჩევანია. თქვენ შეიძლება გადაწყვიტოთ, რომ კარგად ხართ გავარჯიშებული ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში და ამიტომ გასურთ, პირველ რიგში, 1-ელ კითხვას უპასუხოთ. შეგიძლიათ უპირატესობა მიანიჭოთ მე-2 კითხვას იმის საფუძველზე, რომ სანიმუშო გამოცდაზე და გამომცდელთა გუნდის სტატიებში, გამომცდელები ვარაუდობენ, რომ მას ეწება შედარებით პროგნოზირებადი სტილი.

მაშასადამე, თუ რომელიმე კითხვაში შეგხვდებათ თქვენთვის კარგად ნაცნობი თემა, დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ

დროში ჩაეტევი. ახლა კი მივუახლოვდით გამოცდის ჩაბარების ტექნიკის ერთ-ერთ გადამწყვეტი მნიშვნელობის ელემენტს, დროის მართვას. იმისათვის, რომ საკმარისი დრო გქონდეთ ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად, საგამოცდო დრო უნდა გაანაწილოთ ხელმისაწვდომი ქულების საფუძველზე, სიმკაცრე გამოიჩინეთ საკუთარი თავის მიმართ და როდესაც დრო ამოიწურება, გადადით სხვა საკითხზე. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კანდიდატი უფრო მეტ ქულას მიიღებს, თუ ხუთ წუთს დახარჯავს ახალ კითხვაზე მუშაობისას, ვიდრე მაშინ, თუ მუშაობას გააგრძელებს კითხვაზე, რომელზეც მან უკვე დახარჯა გამოყოფილი დრო. სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე ხშირად არსებობს რისკი იმისა, რომ გამოთვლებზე მუშაობისას კანდიდატი დროს გადააჭარბებს და საკმარის დროს ვეღარ დაუთმობს პასუხების ნარატიულ (ტექსტურ) ნაწილებს, რომლებსაც, როგორც წესი, მიკუთვნებული აქვს ქულების უმეტესობა. ამგვარი რისკი განსაკუთრებით დაკავშირებულია 1-ელ კითხვასთან, რომელიც ჯგუფების ფინანსურ ანგარიშგებას ეხება.

შემფასებლისთვის ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა, რა თანმიმდევრობით არის პასუხი გაცემული სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის ოთხ

კითხვაზე (იმ პირობით, თუ თითოეული ნაწილის დასათაურება ადეკვატური იქნება). სინამდვილეში, კარგი პასუხის ნამდვილი გასაღები ისაა, რომ კანდიდატმა ყველა კითხვის ყველა ნაწილზე უნდა სცადოს პასუხის გაცემა. თუმცა, ამის გაკეთება ყოველთვის ისეთი მარტივი არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის ზოგიერთ კითხვაში ქვემოთხოვნები იგულისხმება. მაგალითად, კითხვაში შესაძლოა კანდიდატებს სთხოვდნენ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას; თუმცა საკითხების დეტალები (ფაქტობრივად, თითოეული ქვემოთხოვნა) სცენარში იმალება.

ამიტომ გამოცდის ჩაბარების ეფექტიანი ტექნიკა იმაში მდგომარეობს, რომ კითხვაზე მუშაობის დაწყებისას პირველ რამდენიმე წუთში კანდიდატმა უნდა გამოავლინოს ეს ქვემოთხოვნები ან საკითხები და შემდეგ შეაფასოს, რამდენი ქულა მიენიჭება მათ, რათა დარჩენილი დრო სათანადოდ გაანაწილოს. სცენარზე დაფუძნებულ კითხვებზე ვარჯიშის საუკეთესო გზა ამ კონკრეტული მიდგომის დამუშავებაა. თქვენ ყურადღებით უნდა გადაამოწმოთ თქვენი პასუხები და განიხილოთ, რა პრობლემები უნდა გამოგვევლინათ და როგორ გაანაწილებდით მათზე ქულებს.

მაგალითი: სანიმუშო საგამოცდო კითხვა (2):

განიხილეთ გემოაღნიშნული სიტუაციების ეთიკური და სააღრიცხვო შედეგების ბუღალტრის პოზიციიდან, რომელიც ადგენს ანგარიშგებას.

(18 ქულა)

სააღრიცხვო მიდგომა. მთელ სცენარში „გადახლართულია“ ფინანსური ღირებულების არასათანადო ქცევის ეთიკური პრობლემა.

როდესაც კითხვის მოთხოვნას ორი მკაფიო ასპექტი აქვს, ამ შემთხვევაში, **ეთიკურ** და **სააღრიცხვო გავლენასთან** დაკავშირებით, კარგი მიდგომა იქნება, ვივარაუდოთ, რომ მათზე, დაახლოებით, თანაბრად იქნება განაწილებული ხელმისაწვდომი ქულები, თუ კითხვაში ამ ასპექტებზე განცალკევებით არ არის მითითებული ქულები. ასე რომ, აქ გონივრულია ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით 9 ქულაა მიკუთვნებული სააღრიცხვო საკითხებზე. ასე რომ, თქვენი გეგმა უნდა იყოს ორი

თქვენ გულდასმით უნდა გადაიკითხოთ სცენარი „სიტუაციების“ დასადგენად;

ამ სცენარში შესაძლებელია ბუღალტრული აღრიცხვის ხუთი საკითხის იდენტიფიცირება და თითოეულ შემთხვევაში, სცენარში შემოთავაზებულია არასწორი

ქელის მიკუთვნება ხუთი სააღრიცხვო საკითხიდან თითოეულზე, რათა საკმარისი დრო დაიტოვოთ მსგავსი რაოდენობის ქულების მისაკუთვნებლად ეთიკურ შედეგებზე.

შეფასების სქემაში, ფაქტობრივად, 18

ქელიდან 8 მიკუთვნებული აქვს ეთიკურ მოსაზრებებს; რაც უფრო მეტ კითხვას გაცნობით/ივარჯიშებთ, მით უფრო კარგად გაიგებთ, თიპურად როგორ ხდება ქულების განაწილება საგამოცდო კითხვებში.

ფორმატი

პასუხის ფორმატი მნიშვნელოვანია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგი პასუხი კარგი გზამკვლევაა შემფასებლისთვის – შემფასებელი ნათლად დაინახავს, რომ კანდიდატმა გამოავლინა სხვადასხვა საკითხი ან ქვემოთხოვნა და განიხილა თავის პასუხში.

ისევე, როგორც კითხვების ნაწილების მარკირება, გამოცდის ჩაბარების ეფექტიანი მიდგომაა პასუხში სათაურების გამოყენება. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ კითხვაში, სადაც თქვენ უნდა განიხილოთ ხუთი სააღრიცხვო საკითხი, პლუს ეთიკური საკითხები, რეკომენდებულია, რომ მათთვის გამოიყენოთ ექვსი განცალკევებული სათაური, მათ შორის, დატოვებული ცარიელი სტრიქონები, შეფასების გამართიკებისთვის.

როდესაც პასუხი გამოთვლების ჩატარებას მოითხოვს, ჩატარებული გამოთვლები წარმოდგენილი უნდა იყოს გასაგებად, ლოგიკური თანმიდევრობით და ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს.

გაანგარიშებებში ძირითადი ელემენტები ნათლად უნდა იყოს სახელდებული და ნებისმიერი ცალკეული გაანგარიშება დაკავშირებული უნდა იყოს ძირითად გაანგარიშებასთან.

ეს არის საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი, განსაკუთრებით 1-ლი კითხვის:

კანდიდატებმა უნდა განიხილონ პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ მიერ ჩატარებულ გამოთვლებს. ამასთან, გახსოვდეთ, წმინდა რიცხობრივი პასუხებისთვის გამოყოფილი ქულების რაოდენობა შეზღუდული იქნება.

კარგ პასუხში რთული გამოთვლები განცალკევებული უნდა იყოს ნარატიული (ტექსტური) პასუხებისგან – ჩართული არ უნდა იყოს ტექსტში.

მარტივი გამოთვლების გარდა, ყველაფერი, ყველანაირი გამოთვლა წარმოდგენილი უნდა იყოს ნარატივისგან (პასუხის ტექსტური ნაწილისგან) განცალკევებით, რომელსაც ის ეხება, ხოლო ტექსტში, საჭიროებისამებრ, მითითებული უნდა იყოს კონკრეტული გამოთვლა. გამოთვლები შეიძლება წარმოდგენილი იყოს დანართში ან უბრალოდ ცალკე ფურცელზე. ხშირად კარგ მეთოდად მიიჩნევა, რომ გამოთვლები აწარმოთ ერთ ფურცელზე და იმავდროულად მეორე ფურცელზე ახსნათ ან განიხილოთ თითოეული მათგანი. ეს დაგეხმარებათ, ნაწერში უკეთესი ქულების მიღებაში, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ კარგად ახსნით გაანგარიშების თითოეულ ელემენტს, რადგან გაანგარიშება ზუსტად ახლა შეასრულეთ და მაშინვე დაწერეთ მისი ახსნა.

მაგალითი: საგამოცდო კითხვის ნიმუში (1(ა)):

აუხსენით *Kutchen*-ის დირექტორებს, შესაბამისი გაანგარიშებით, როგორ უნდა გამოითვალოს გუდვილი *House and Mach*-ის შესყიდვისას, სადაც ნაჩვენები იქნება კორექტირება, რომელიც უნდა განხორციელდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური დირექტორის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად.

(10 ქულა)

ამ ტიპის კითხვებისთვის კარგი მიდგომაა, პასუხების რეგულში ერთ ფურცელზე დაწეროთ გუდვილის გაანგარიშება, შემდეგ აიღოთ გაანგარიშებაში მონაწილე თითოეული პოზიცია და მეორე ფურცელზე დაწეროთ მისი ახსნა. დეტალიზაციის აუცილებელი დონე უნდა განსაზღვროთ კონკრეტული კითხვისა და გარემოებების გათვალისწინებით, მაგრამ, სავარაუდოდ, უნდა მოიცვათ შემდეგი საკითხები:

კომპენსაციის სამართლიანი ღირებულება

- რომელი ელემენტები უნდა გავითვალისწინოთ?
- რატომ გაითვალისწინება პირობითი კომპენსაცია?
- როგორ ხდება თითოეული ელემენტის შეფასება თავდაპირველად?
- შემდგომში სავალდებულოა მათი ხელახლა შეფასება?

არამაკონტროლებელი წილი

- რატომ ითვალისწინებენ გამოთვლებში არამაკონტროლებელ წილს?
- როგორ უნდა შეფასდეს?
- რა გავლენას ახდენს შეფასების ვარიანტები?

წმინდა აქტივები შეძენისას

- რომელია აღიარებისა და შეფასების ძირითადი პრინციპები?
- არსებობს ამ პრინციპებიდან რაიმე გამონაკლისები?
- როგორ ხდება შემდგომი აღრიცხვისას მუხლების კორექტირება?

გუდვილი

- რა არის გუდვილი?
- რატომ არის ის აქტივი?

საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კითხვების კარგი პასუხი მარტივი სტილის არ არის; პასუხი იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ის ნათელი და გასაგები იყოს შემფასებლისთვის და ადვილად შეძლოს ადეკვატური ქულების მიკუთვნება პასუხზე.

საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კითხვების ნარატიულ პასუხებში შეგიძლიათ ბუღიტების გამოყენება, პასუხის წერისას გაითვალისწინეთ, რომ კარგად ჩამოყალიბებული მოსაზრებისთვის 1 ქულას მიიღებთ, ხოლო პასუხში ადეკვატური მოსაზრება, სავარაუდოდ, ერთი ან ორი წინადადებით უნდა გამოხატოთ. განიხილეთ ქვემოთ მოცემული ორი პასუხი:

- ჯონი არაეთიკურად მოქმედებს, რადგან ლუსისადმი მისი თხოვნა უგულებელყოფს ბასს 23-ს.
- ბასს 23 მოითხოვს, რომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მხოლოდ იმ შემთხვევაში კაპიტალიზდება, თუ დაკმაყოფილებულია სტანდარტით დადგენილი კრიტერიუმები. ჯონი არაეთიკურად მოქმედებს, რადგან, მოგების გასაზრდელად ლუსის სთხოვს იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომლის ხარჯებში ასახვასაც მოითხოვს ბასს 23.

ორი პასუხი, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე საკითხს/მოსაზრებას ასახავს, თუმცა, ქულების მისაღებად უფრო მაღალი დონის დეტალიზაცია აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებისთვის, როგორც ეს მეორე პასუხშია. პირველი პასუხიდან არ ჩანს, რომ კანდიდატმა იცის ბასს 23-ის მოთხოვნები ან ესმის არაეთიკური ქცევის მოტივაცია, ხოლო მეორე პასუხიდან ეს ნათლად ჩანს.

თქვენ უნდა დაწეროთ საკმარისი მოსაზრებები იმისთვის, რომ სულ მცირე, მოცემულ მოთხოვნაში მაინც მიიღოთ მაქსიმალური ქულები. ამიტომ, მაგალითად, 10 ქულის მქონე ნარატიულ კითხვაში წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ ხუთი მოსაზრება მაინც, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შეიძლება შემფასებელმა ყველა მათგანს ქულები არ მიაკუთვნოს, სასურველია, შეიძინოთ ან რვა მოსაზრება დაწეროთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაოდენობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხარისხი - პუნქტების შინაარსი უნდა იყოს ადეკვატური, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაწერას აზრი არ აქვს.

შინაარსი

აქამდე ჩვენ აქცენტი გადატანილი გვქონდა საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კითხვის კარგი პასუხის ფორმატსა და სტრუქტურაზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, შინაარსი პასუხის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

ზოგადად, კარგი პასუხის შინაარსი მიესადაგება დასმულ კონკრეტულ კითხვას, შეფასება იქნება ეს, ანალიზი, განხილვა, ახსნა თუ სხვა.

ამ კონტექსტში, კარგი მიდგომის გამო-მუშავება და დაუფლება შესაძლებელია პრაქტიკის მეშვეობით; თქვენ უნდა გაეცნოთ „კითხვით სიტყვებს“, რომლებიც გამოიყენება სახელმ-ძღვანელოს კითხვებში, სავარჯიშოების კრებულში განხილული კითხვების ბანკსა და სანიშნო საგამოცდო კითხვებში და დაადგინოთ, თუ რით განსხვავდება პასუხების სხვადასხვა მოდელი შეკითხვის შესაბამისად. გამოიმუშავეთ ფოკუსირების ჩვევა „კითხვით სიტყვაზე“, რომელსაც მოიცავს ამოცანის მოთხოვნა. მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ მოგიწევთ თანხების გამოთვლა, გამოთვლების ახსნა, სიტუაციის გაანალიზება, რათა გამოავლინოთ განსახილველი საკითხები/მოსაზრებები/მიდგომები. ასევე დაგჭირდებათ შეფასების ან აღიარების გადანაცვლებების მიზეზების განხილვა, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების ახსნა და, სხვათა შორის, დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებში „ჩანვდომა“ და მათი გათვალისწინება.

გამოიმუშავეთ ფოკუსირების ჩვევა „კითხვით სიტყვაზე“, რომელსაც ამოცანის მოთხოვნა მოიცავს.

სადაც რიცხობრივი პასუხია საჭირო, კარგ პასუხში სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი ჩატარებული გაანგარიშებები.

ამიტომ, თუ თქვენ გჭირდებათ აქციის ფასის გამრავლება გამოშვებული აქციე-

ბის რაოდენობაზე, რათა გამოითვალოთ კომპანიის შეძენის კომპენსაცია, უნდა ჩაწეროთ ეს გაანგარიშება, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ გონებაში გააკეთოთ ეს ან კალკულატორით გამოითვალოთ და მხოლოდ მიღებული შედეგი დაწეროთ პასუხში.

ეს იმის გარანტია იქნება, რომ ქულებს იმ შემთხვევაშიც მიიღებთ, თუ საბოლოო პასუხი არასწორად გეყენებათ გამოთვლილი. დროის დაზოგვის მიზნით, შედარებით მოკლე გაანგარიშებები ფრჩხილებში ჩასვით ძირითად ტექსტში, ხოლო უფრო გრძელი გაანგარიშებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკე ფურცელზე წარმოადგინეთ.

ნარატიულ კითხვაზე გაცემული კარგი პასუხი ადვილად იკითხება, ინფორმაცია გადმოცემულია ლოგიკური თანამიმდევრობით და მკითხველი მიჰყვება თქვენი აზროვნების პროცესს, რათა დაინახოს, როგორ გამოიტანეთ დასკვნა ან რეკომენდაცია.

საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე მარტივი ენა და მოკლე წინადადებები არის კარგი ნარატიული (ტექსტური) პასუხის გასაღები. მოერიდეთ ზედმეტად რთულ სიტყვებს და წინადადებების კონსტრუქციას, რადგან ასეთ შემთხვევაში ხშირად იკარგება გზავნილი, რომლის გადმოცემაც გსურთ.

გამოცდის ჩაბარების ეფექტიანი მიდგომა გრძელი ნარატიული (ტექსტური) პასუხის შინაარსის მოკლედ დაგეგმვის ჩვევის გამოიმუშავებაა. ეს დაგეგმვრებით გამეორების პრობლემის თავიდან აცილებაში - ერთი და იმავე საკითხის/მოსაზრების ორჯერ დაწერით კარგავთ ძვირფას დროს და, რა თქმა უნდა, ორმაგ შეფასებას ვერ მიიღებთ.

პასუხის დაგეგმვის (და ჩამოყალიბების) მიდგომა, რომელიც საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის ბევრ კითხვას მიესადაგება, მდგომარეობს შემდეგში: „ჩამოყალიბეთ „სათქმელი“, გამოიყენეთ, გამოიტათ დასკვნა“ - სხვა სიტყვებით:

1. მიუთითეთ (მოკლედ) სცენარის ფაქტები და, საჭიროების შემთხვევაში, სტანდარტის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტების მოთხოვნები;
2. კითხვის მოთხოვნები გამოიყენეთ სცენარში აღწერილი ფაქტების მიმართ;
3. წერა დაასრულეთ რეკომენდაციით (რომელიც შეიძლება იყოს ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომა ან რაიმე ქმედება, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს) და, საჭიროებისამებრ, შეაფასეთ გავლენა (თქვენ მიერ გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეებზე).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე, თქვენ, სავარაუდოდ, მოგიწევთ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებზე საკითხის/პრობლემის გავლენის განხილვა და მისი შესაფერისი სააღრიცხვო მიდგომის შემოთავაზება.

მაგალითად, სცენარში შეიძლება აღწერილი იყოს აქციებზე დაფუძნებული გადახდა, რომელზეც უფლების გადაცემა უნდა განხორციელდეს ორ წელიწადში, ამონაგების ბრდის გარკვეული დონის მიხედვით. შემდეგ შეიძლება გთხოვდნენ ამ პროგრამის გავლენის განხილვას ისეთ კონკრეტულ მხარეებზე, როგორიცაა კრედიტორები ან მომხმარებლები. თუ გარკვეული დაინტერესებული მხარეების პოზიციიდან ფიქრი გაგიჭირდებათ, კარგ მეთოდად მიიჩნევა, მუდმივად იფიქროთ ასე: „მერე რა?“ ან „რა მოჰყვება ამას?“

შეგიძლიათ სცადოთ შემდეგი ეტაპობრივი მიდგომის გამოყენება:

1. ოპერაცია ან ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომა კარგია თუ ცუდი დაინტერესებული მხარისთვის?
2. რა ზომებს შეიძლება მიმართოს დაინტერესებულმა მხარემ?
3. რა ზომებს მიიღებენ სხვა დაინტერესებული მხარეები ამის შედეგად?
4. რა გავლენას მოახდენს ანგარშვალდებულ საწარმოზე?

კარგ პასუხში გამეორებული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის შინაარსი ან მსგავსი (ნასწავლი) სავარჯიშო კითხვის პასუხი; კარგი პასუხი ზუსტად მიესადაგება კითხვაში აღწერილ სცენარს.

ეს არის ხაფანგი, რომელშიც წარსულში ბევრი სტუდენტი გაება; თქვენ ძალიან ცოტა ქულას მიიღებთ, თუ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდისადმი თქვენი მიდგომა იქნება უბრალოდ ტექნიკური მასალის დამახსოვრება და შემდეგ „გონებას დაცლა“ თქვენი პასუხების რვეულში. ნარატიული (ტექსტური) პასუხები უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ სცენარს.

კარგ პასუხში ადეკვატურად დაბალანსებულია ნარატივი და რიცხობრივი გაანგარიშებები, დასმული კითხვის შესაბამისად.

მოთხოვნის გაანგარიშებითი და ნარატიული ნაწილები ყოველთვის არ გვიჩვენებს თითოეულ მათგანისთვის ცალ-ცალკე გამოყოფილ ქულებს. ამიტომ კანდიდატებმა ეს თავად უნდა გააკეთონ კითხვაზე პასუხის დაგეგმვისას. ცხადია, მათი უმეტესობა რიცხვებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე ქულების უმეტესობა თითქმის ყოველთვის ენიჭება პასუხის ნარატიულ ნაწილებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოთხოვნიდან ნათლად არ ჩანს, კარგი მიდგომაა კითხვის ნარატიულ ელემენტებზე, სულ მცირე, ქულების ნახევრის მიკუთვნება. ადრე ჩვენ ვახსენეთ სანიმუშო საგამოცდო კითხვა 1(ა), რომელიც მოითხოვდა გუდვილის გაანგარიშების ახსნას, შესაფერისი გამოთვლების საფუძველზე. ამისათვის ხელმისაწვდომი იყო 10 ქულა და შეფასების სქემიდან ჩანდა, რომ აქედან ექვსი ქულა ეკუთვნოდა განხილვას.

გამოცდისთვის მზადება

საბოლოო და მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გამოცდაზე წარმატების მიღწევაში/კარგი პასუხის დაწერაში დაგეხმარებათ, არის გამოცდისთვის კარგად მომზადება. მართალია, ამ სტატიაში ვახსენეთ „გამოცდის ჩაბარების“ არაერთი მიდგომა, მაგრამ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდაზე წარმატების მიღწევის საუკეთესო გზაა საგამოცდო კითხვების ანალოგიური სტილის კითხვებზე ვარჯიში, დაწყებული პირველივე შესაძლებლობიდან, შემდეგ გამოცდისთვის მზადებისას და ბოლოს სრული იმიტირებული გამოცდების მეშვეობით. ეს დაგეხმარებათ გამოცდის ჩაბარების ისეთი მიდგომის ათვისებაში, რომელიც თქვენს სასარგებლოდ მუშაობს და გეხმარებათ გამოცდამდე დროის ეფექტიანი მართვის მიდგომის შემუშავებასა და დაუფლებაში. მაშინაც კი, თუ არ გაქვთ დრო, რომ სრულად დაამუშაოთ ყველა ხელმისაწვდომი საგამოცდო კითხვა, პასუხების დაგეგმვა ხშირად საკმარისია იმის გასაგებად, ადეკვატურია თუ არა ისინი საკითხების იდენტიფიკაციის, ქულების განაწილებისა და პასუხში გასათვალისწინებელი მოსაზრებების/საკითხების გააზრების თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, კითხვებზე ვარჯიში და პასუხის გეგმების მომზადება მხოლოდ იმ შემთხვევაშია სასარგებლო,

თუ თქვენს ნამუშევარს შეუდარებთ გამომცდელის მიერ მომზადებულ პასუხების ნიმუშს. ანდა, კიდევ უკეთესი, თუ გაეცნობით გამომცდელის ანალიტიკურ ანგარიშებს, რათა გაიგოთ, რისი გაკეთება შეგიძლიათ უკეთესად შემდეგ ჯერზე.

კიდევ რა უნდა ნაიკითხოთ

დეტალური ინფორმაციის მისაღებად იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ზუსტად საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდული საგამოცდო კითხვების პასუხების შეფასება, თქვენ ასევე უნდა ნაიკითხოთ სტატია „გაიგეთ, რას ითხოვს თქვენგან საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის გამოცდის შემფასებელი“, სადაც ნახავთ საგამოცდო კითხვების ცალკეულ ნაწილებზე მიკუთვნებული შეფასებების ნიმუშებს.

გამოცდისთვის კარგად მომზადება არის საბოლოო და მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გამოცდაზე კარგი პასუხის დაწერაში დაგეხმარებათ.

ბუღალტერია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გლობალური ეკონომიკის მომავლისთვის



ბუღალტრის პროფესიას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს უკეთესი მომავალი სამყაროს შექმნაში.

ახლა ტურბულენტური დროა და საზოგადოების მოლოდინები მთავრობების, პოლიტიკის დამდგენებისა და ბიზნესების მიმართ სწრაფად და მნიშვნელოვნად შეიცვალა. ომისა და კონფლიქტის გამანადგურებელი ეფექტი ზრდის გამოწვევებს, რომელთა წინაშეც გლობალური ეკონომიკა ისედაც იდგა, კოვიდ-19 პანდემიის შედეგად.

მართალია, არც ერთ ცალკეულ პროფესიას არ შეუძლია გლობალური საზოგადოების ყველა პრობლემის აღმოფხვრა, თუმცა თითოეულ მათგანს შეუძლია, ღირსეული როლი შეასრულოს უკეთესი მომავლის შექმნაში.

ACCA-მ გამოსცა ახალი ანგარიში, სახელწოდებით, „ბუღალტერია უკეთესი მომავლისთვის“. კვლევა მიმოიხილავს იმ კონტრიბუციას, რომლის განხორციელებაც შეუძლია ბუღალტრის პროფესიას მომავლის შესაქმნელად კვლევის ფარგლებში, იდენტიფიცირებულ იქნა შვიდი ძირითადი სფერო, რომელზეც საჭიროა ყურადღების გამახვილება. ის ასევე მოიცავს რეალურ ქეისებს, რომლებიც ხაზს უსვამს იმას, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ბუღალტრის პროფესია და რატომ ინარჩუნებს მთავარ როლს ეკონომიკებისა და საზოგადოების განვითარების პროცესში.

- ♦ **ძლიერი ეკონომიკების მშენებლობა მომავლისთვის**, რაც მოიცავს ბუღალტერიის როლს ახალი ეკონომიკების, შესაძლებლობების ზრდის, ფინანსური ცნობიერების გაუმჯობესებასა და კორუფციასთან ბრძოლაში;
- ♦ **მომავლის ტალანტების შექმნა**, ახალი თაობის ფინანსური უნარ-ჩვევების მექანე ახალგაზრდების კულტივირების გზით, უმაღლესი კლასის ბიზნეს და ფინანსური განათლების მიწოდება;
- ♦ **მდგრადი ბიზნესების განვითარების ხელშეწყობა** პროფესიონალი ბუღალტრების მიერ, ნებისმიერ იერარქიულ პოზიციაზე, რაც დაეხმარება ორგანიზაციებს გრძელვადიანი ღირებულებისა და გამჭვირვალობის შექმნაში;
- ♦ **სტანდარტებისა და რეგულაციების გაუმჯობესება** - როლი, რომელიც პროფესიამ უნდა ითამაშოს მომავალ მარეგულირებელ რეფორმაში, რათა შეიქმნას ისეთი რეგულაცია და სტანდარტები, რომელიც გააძლიერებს ნდობას კაპიტალის ბაზრებზე და შესაძლებლობას მისცემს სამყაროს, გაუმკლავდეს უდიდეს სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს;
- ♦ **საჯარო სექტორის გარდაქმნა** - ბუღალტერია საჯარო სექტორის გარდაქმნის ცენტრშია. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც სწორი პოლიტიკის



ჰელენ ბრანდი,
ACCA-ს აღმასრულებელი დირექტორი

დედი დღის შესაქმნელად. ისტორიებისა და მაგალითების გაზიარების გზით ჩვენ ვცდილობთ ფრთხილი, თუმცა ძლიერი მომავლის იმედის სიგნალის გაგზავნას. ჩვენ ვცდილობთ, ხაზი გავუსვით ბუღალტერიის როლს და იმ პოზიტიურ წვლილს, რომლის შეტანაც ბუღალტრებს შეუძლიათ გლობალური საზოგადოებისთვის ახალი განვითარების გზის მშენებლობაში.”

ანგარიშის ავტორი და ACCA-ს ბიზნესის მართვის ხელმძღვანელი, **ჯეიმი ლიონი** კი დასძენს:

„ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა მომავალი თაობების მიმართ იმაზე, რომ მათ უკეთეს სამყაროს დავუტოვებთ. როგორც ამას ანგარიში აჩვენებს, ბუღალტრის პროფესიას ამაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.“

წყარო: accaglobal.com

და ხარჯვის გადანაწევტილებების მიღებაში, ასევე - საჯარო ფინანსური მენეჯმენტის ტრანსფორმაციაში;

- ♦ **ბუღალტერიაში სამეწარმეო საქმიანობის განვითარება** მომავალი ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია. აქ აუცილებელია, მცირე ბუღალტრულმა ფირმებმა შეასრულონ სანდო მრჩევლის როლი და ადგილობრივი ბიზნესების ინოვაციური სერვისები ზრდისთვის შესთავაზონ;
- ♦ **ეთიკისა და ნდობის ზრდა** პროფესიის მიმართ იწვევს ბიზნესის, მთავრობისა და სხვა ინსტიტუციების მიმართ ნდობის აღდგენასა და გაძლიერებას.

ACCA-ს აღმასრულებელი დირექტორი, **ჰელენ ბრანდი** აცხადებს:

„ამ რთულ დროში, აღნიშნული ანგარიში წინ იხედება და მიმოიხილავს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც არსებობს ბუღალტრის პროფესიის წინაშე უკეთესი ხვალინ-



ჯეიმი ლიონი, ანგარიშის ავტორი და ACCA-ს ბიზნესის მართვის ხელმძღვანელი



სტუდენტები და დამსაქმებლები სწავლებისა და განვითარების პროცესში ინოვაციებს მოითხოვენ

განმანათლებლებს მოუწევთ სწრაფი ტრანსფორმაცია, რათა დააკმაყოფილონ სტუდენტების საჭიროებები და შეინარჩუნონ წარმატება მომავალში.

ACCA-ს გლობალურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ განმანათლებლები სრულად ვერ აკმაყოფილებენ სტუდენტებისა და დამსაქმებელთა საჭიროებებს, როცა საქმე ეხება ბუღალტრებისა და ფინანსური სპეციალისტების პროფესიულ განათლებას.

კარგი საგანმანათლებლო და განვითარების პროგრამის სტრუქტურა სტუდენტების მახასიათებლებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით იქმნება. თუმცა, ACCA-ს კვლევამ აღმოაჩინა, რომ განმანათლებლები აღიარებენ ამ საკითხის მნიშვნელობას, თუმცა უჭირთ ამ მიდგომის გადატანა პროგრამებში. მათი 39% ამბობს, რომ სტუდენტების მახასიათებლები ზედმეტად განსხვავებულია იმისათვის, რომ მოხერხდეს მათი გათვალისწინება საერთო პრინციპებში.

ანგარიშის - „მდგრადი ბიზნესი და ფინანსების პროფესიონალის უნარების განვითარება“ - ყველაზე მოულოდნელი აღმოჩენა ისაა, რომ ხელოვნური ინტელექტისა და თამაშის პრინციპების გამოყენებას სწავ-

ლებისა და განვითარების (L&D) პროცესში ძალიან დაბალი პოზიტიური დამოკიდებულება აქვს ყველა ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტსა და განმანათლებელს შორის. ისინი ამ ტექნიკებს განათლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთ გზად სულაც არ მიიჩნევენ. ეს ნაწილობრივ იმით არის გამოწვეული, რომ თამაშის პრინციპებისა და ხელოვნური ინტელექტის არსსა და მათ შესაძლებლობებზე ინფორმაცია საკმარისად გავრცელებული არ არის. ასევე, არსებობს ერთგვარი შიში ტუტორებს შორის, იმის თაობაზე, რომ ტექნოლოგია ძალიან რთულია ან უფუნქციოს გახდის ტუტორის როლს.

ACCA-ს ბიზნესანგარიშგების ხელმძღვანელი და ანგარიშის ავტორი, **შარონ მაჩადო** დოკუმენტის კომენტირებისას ამბობს: „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ამბობს, რომ 2030 წლისათვის სამსახურების 90%-თვის ციფრული უნარები იქნება საჭირო. ამიტომ, განმანათლებლებმა ციფრული ინსტრუმენტები L&D პროგრამების ამოსავალ წერტილად უნდა აქციონ. აგარდა ამისა, Pearson-ის გამოვლენებით, პროფესიული განათლების ბაზარი 2030 წლისათვის \$8,5 ტრილიონამდე გაიზრდება, რაც, თავის მხრივ, გა-

ნათლებაზე მოთხოვნის ზრდას პროგნოზირებს. შესაძლებლობები არსებობს და სწორედ ამიტომ შევქმენით 6-პუნქტიანი L&D მოდელი, რათა განმანათლებლებს დავეხმაროთ, წარმატებულად ითანამშრომლონ პროფესიულ ორგანიზაციებთან, მომავლის პროფესიონალების შესაქმნელად.”

კვლევის ფარგლებში, ACCA-მ სტუდენტებს სთხოვა, დაესახელებინათ კარგი L&D სისტემის მახასიათებლები, რამაც შედეგად ექვსი მკაფიო და ურთიერთდაკავშირებული საკითხი წამოჭრა:

რელევანტურობა: სტუდენტისა და დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების თანხვედრა;

სანდოობა: ისეთი სასწავლო შედეგების მიღწევა, რომლებიც არის სანდო და არ არის დამოკიდებული განსხვავებულ სწავლების მეთოდებზე;

მოტივაცია: სწავლების ძირითადი დაინიშნულების მიღწევაზე ორიენტირება და განგრძობითი სწავლების მხარდაჭერა;

ადამიანები: სტუდენტებისა და მათი ტუტორების მოქცევა სასწავლო პროცესის ცენტრში როგორც ინდივიდუალურ, ისე - ჯგუფურ დონეზე;

ციფრული: L&D სტრატეგიის შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა და მისი იმპლემენტაცია სასწავლო პროცესში;

მდგრადობა: ბიზნესმოდელებმა უნდა გამოიყენონ ინტეგრირებული მიდგომა გარემოსდაცვით, სოციალურ და ფინანსურ საკითხებთან.

კვლევის ფარგლებში, მონაწილეებს ასევე სთხოვეს, დაესახელებინათ ძირითადი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო გზები. ეთიკის შემთხვევაში, განმანათლებლების 61% და სტუდენტების 65% თვლის, რომ სამუშაო გამოცდილება ან სიმულაციები საუკეთესო საშუალებაა, ხოლო თამაშის პრინციპები ყველაზე ნაკლებად გამოყენებადი სტრატეგია აღმოჩნდა. რაც შეეხება კოლა-



შარონ მაჰადო, ACCA-ს ბიზნესანგარიშგების ხელმძღვანელი

ბორაციას, განმანათლებელთა 77% და სტუდენტების 74% მიიჩნევს, რომ უფრო მეტად განვითარებული უნარების მქონე თანაჯგუფელებისგან სწავლა საუკეთესო გზაა.

ასევე შეფასდა სწავლის ტიპებიც და მონაწილეთა 58% მიიჩნევს, რომ ონლაინ-სწავლება ისეთივე ეფექტურია, როგორც - ტრადიციული.

კვლევის ავტორი დასკვნის სახით დასძენს:

„კოვიდ-19 პანდემიამ კიდევ უფრო გააძლიერა შეხედულება, რომ სწავლება 24-საათიანი საქმიანობაა. ეს გამოწვევებს ქმნის განმანათლებლებისთვის და მოაქვს ინოვაციების საჭიროება. პროფესიული ორგანიზაციები, როგორიცაა ACCA, ასევე ამ ინოვაციების ნაწილია და სწორედ ამიტომ ვაკეთებთ ყველაფერს, როგორც ორგანიზაცია იმისათვის, რომ განმანათლებლებსა და სტუდენტებს დავეხმაროთ.“

წყარო: accaglobal.com

ვებგვერდი, 29/03/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017568

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №82 2022 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 81-ე მუხლის:

ა) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო/საბაჟო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰, 42¹¹ და 44⁴ მუხლებით, 85⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91² მუხლით, 91³ მუხლის პირველი ნაწილით, 99-ე მუხლით, 127¹ მუხლის მე-2, 3¹ და 3² ნაწილებით, 129¹ მუხლით, 135² მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153¹, 153⁵, 153⁷, 153⁸, 153¹⁰–153¹², 154¹, 154², 155¹ და 155² მუხლებით, 155³ მუხლის პირველი–მე-18 ნაწილებით, 155⁵, 155⁶, 155⁷ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155⁹, 155¹⁰, 157-ე, 157¹–157⁴, 158-ე, 158¹, 159⁴, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165-ე–165³, 165¹⁰, 165¹¹, 171⁵, 174¹⁷, 176⁴, 176⁵, 177¹⁴, 177¹⁵, 178-ე, 179³, 191¹, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

5. საგადასახადო/საბაჟო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰, 42¹¹, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 127¹ მუხლის მე-2, 3¹ და 3² ნაწილებით, 129¹ მუხლით, 135² მუხლის მე-2 ნაწილით, 153⁷, 153⁸ და 153¹⁰–153¹² მუხლებით, 155³ მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155⁵ მუხლით, 155⁶ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 157-ე, 165-ე, 165¹⁰ და 165¹¹ მუხლებით, 171⁵ მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 174¹⁷, 176⁴, 176⁵, 177¹⁴, 177¹⁵, 179³, 191¹, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლის მე-2 პუნქტით.“.

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლით, 135² მუხლის მე-2 ნაწილით, 153⁷, 153⁸ და 153¹⁰–153¹² მუხლებით, 155³ მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155⁵ მუხლით, 155⁶ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171⁵ მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 174¹⁷, 176⁴, 176⁵, 177¹⁴, 177¹⁵ და 191¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.“.

2. 82-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას და უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე, ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153⁷ და 153⁸, 153¹⁰–153¹² მუხლებით, 155³ მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155⁵ მუხლით, 155⁶ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171⁵ მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 176⁴, 176⁵ და 191¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ითვლება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლის მე-2 ნაწილით და 177¹⁴ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ადმინისტრაციული გამოკვლევის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადგილზე არ შედგეს და სამართალდამრღვევს ჩაბარდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით/საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით. ამ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერა სავალდებულო არ არის. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი შესაძლებელია დაფიქსირდეს ტექნიკური საშუალებით (ფოტო- ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

ვებგვერდი, 29/03/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017569

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №84
2022 წლის 28 მარტი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 27-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 27¹ მუხლი:

„მუხლი 27¹. ცალკეული საქონლის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვა

1. შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის ან/და ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინოს შესაბამისი საქონლის მოძრაობის და ნაშთების აღრიცხვის ფორმა და წესი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულება გადასახადის გადამხდელს არ ათავისუფლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

=====

ვებგვერდი, 01/04/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017572

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №90
2022 წლის 30 მარტი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 52-ე-54-ე პუნქტები:

„52. ამ მუხლის 51-ე პუნქტითა და „საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან (გარდა გასახურებელი თამბაქოსი) გამოფრქეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მზუთავი გაზი) ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი გაზომვისა და რეგულირების წესებისა და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის/კონტეინერის მოცულობის, მასში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმებისა და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებებისა და მათი დატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დროებითი რეგულაციის ფარგლებში, 2022 წლის 1 ივნისამდე პერიოდში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის 11 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასახადების ადმინისტრირების მიზნებისთვის, თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორი საგადასახადო ორგანოს წინასწარ, საქონლის იმპორტამდე, წერილობით წარუდგენს მის მიერ იმპორტისთვის განკუთვნილი იმ დასახელების/ქვედასახელების ფილტრიანი ან/და უფილტრო სიგარეტების შესახებ ინფორმაციას, რომელთა იმპორტისას შესაბამის დოკუმენტაციაში მითითებული სახელწოდება მოიცავს „2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე და 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის №314 ბრძანებით გათვალისწინებულ დასახელებას/ქვედასახელებას და რომელიც, შესაძლოა, არ იყოს მასთან სრულ შესაბამისობაში, თუმცა წარმოადგენს აღნიშნული დასახელების/ქვედასახელების პროდუქციას.

53. ამ მუხლის 52-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რის საფუძველზეც, შესაბამისი მონაცემები აისახება „2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე და 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის №314 ბრძანებაში.

54. ამ მუხლის 53-ე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გაგზავნა და „2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე და 2403 99 900 01 და 2403 99 900 02 კოდებში მითითებულ საქონელზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის №314 ბრძანებაში შესაბამისი მონაცემების ასახვა ხორციელდება თამბაქოს ნაწარმის იმპორტიორის მიერ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურში წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

ვებგვერდი, 06/04/2022
სარეგისტრაციო კოდი
230210000.22.033.017577

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №101
2022 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი**

„საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №254 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №254 ბრძანებით (ვებგვერდი, 27/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017229) დამტკიცებული „საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის“ (დანართი №1) მე-5 მუხლის ტექსტი ჩაითვალოს პირველ პუნქტად და მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. უკრაინის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებით შექმნილი საგანგებო სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც, საქართველოს საბაჟო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოყვანილი და, თანმხლები დოკუმენტების შესაბამისად, უკრაინის დანიშნულებით გადასაადგილებელი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), აგრეთვე 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის მფლობელი, რომელიც შექმნილი მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყვანას კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, თავისუფლდება აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის ან საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე და 171-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების ზოგადი დეკლარირება (სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ასახვა) განხორციელებულია 2022 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდში ან/და ექსპორტის პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებულია 2022 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პერიოდში და პირი უზრუნველყოფს აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დეკლარირებული ექსპორტის პროცედურის ან რეექსპორტის დასრულებას ან სხვა საბაჟო პროცედურაში მოქცევას 2022 წლის 1 სექტემბრამდე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა
და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსის
ბრძანება №ნ-3
2022 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი**

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS)
2022 წლის გამოცემის ქართულ ენაზე სამოქმედოდ
შემოღების შესახებ**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული და გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები – 2022 წელი (შემდგომ – სტანდარტები).
2. სტანდარტების გამოყენება სავალდებულოა 2022 წლის პირველ იანვარს და შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.
3. სტანდარტები განთავსდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) ვებგვერდზე (www.saras.gov.ge).
4. ამ ბრძანებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები სამსახურის მიერ განახლდეს სტანდარტების მოქმედი ინგლისურენოვანი რედაქციის განახლებიდან 6 თვის ვადაში.
5. სამსახური უზრუნველყოფს ამ ბრძანებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტების თარგმანის პერიოდულ რედაქტირებას, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა
და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით მჭედლიძე

ვებგვერდი, 19/04/2022
სარეგისტრაციო კოდი
000000000.00.00.016672

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №9021
2022 წლის 11 აპრილი ქ. თბილისი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის და საქართველოს საბაჟო კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის გამოყენების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილისა და 52-ე მუხლის საფუძველზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) „საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლით, 167-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციებისაგან ამავე კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებები“, დანართი №1-ის სახით;

ბ) „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 274-ე და 282-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისაგან ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებები“, დანართი №2-ის სახით.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტებზე წარმოდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით, დავების დეპარტამენტი იღებს საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას და მომსახურების დეპარტამენტს უგზავნის დანართი №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავების დეპარტამენტის უფროსს მიენიჭოს უფლებამოსილება, ხელი მოაწეროს საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას.

4. საბაჟო დეპარტამენტის უფროსს მიენიჭოს უფლებამოსილება, ხელი მოაწეროს ამ ბრძანების დანართი №1-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბაჟო სანქციისაგან პირის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მაისიდან.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

დანართი №1

საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლით, 167-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციებისაგან ამავე კოდექსის 163-ე მუხლის მე-11 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებები

1. სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელისა და ნახევრადმისაბმელის (შემდგომში – ავტოსატრანსპორტო საშუალება) დეკლარირების ვადის დარღვევისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციისაგან პირის გათავისუფლება, თუ დეკლარირების ვადა დარ-

ღვეულია არაუმეტეს 60 კალენდარული დღით და სამართალდამრღვევ პირს განსახილველ ფაქტამდე 12 კალენდარული თვის განმავლობაში იმავე ქმედების ჩადენისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებული არ ჰქონია, შესაძლებელია განახორციელოს საბაჟო დეპარტამენტმა, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) გაფორმების ორგანოში ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენისას, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურები და მათი განაკვეთების“ მე-13 გრაფით გათვალისწინებულ მომსახურების საფასურის (შემდგომში – მომსახურების საფასური) გადახდისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში ან რეექსპორტში მოქცევის შემთხვევაში, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას საბაჟო სანქციის ოდენობის გრაფაში მიუთითოს ნულოვანი თანხა;

ბ) სამართალდამრღვევი პირის მიერ საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში საბაჟო სანქციისაგან გათავისუფლების თხოვნით განცხადების, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში ან რეექსპორტში მოქცევისა და მომსახურების საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაციის, წარმოდგენის შემთხვევაში, საბაჟო დეპარტამენტი უფლებამოსილია, გამოსცეს ბრძანება პირის საბაჟო სანქციისგან გათავისუფლების შესახებ და გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განახორციელოს შესაბამისი ჯარიმის თანხის კორექტირება.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილი, უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების, მისი მისაბმელის ან ნახევრად მისაბმელის, ავტობუსის ან მოტოციკლეტის (რომლის ძრავას მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია) გამოცხადების/დეკლარირების ვადის დარღვევისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციისაგან პირის გათავისუფლება შესაძლებელია განახორციელოს საბაჟო დეპარტამენტმა, თუ: გამოცხადების/დეკლარირების ვადა დარღვეულია არაუმეტეს 60 კალენდარული დღით, სამართალდამრღვევ პირს განსახილველ ფაქტამდე 12 კალენდარული თვის განმავლობაში იმავე ქმედების ჩადენისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებული არ ჰქონია და სამართალდამრღვევი პირის მიერ საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოდგენილია საბაჟო სანქციისაგან გათავისუფლების თხოვნით განცხადება, ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებითი შემოტანის პროცედურაში მოქცევის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის შესახებ ინფორმაციის მითითებით. ამ შემთხვევაში საბაჟო დეპარტამენტი უფლებამოსილია, გამოსცეს ბრძანება საბაჟო სანქციისგან პირის გათავისუფლების შესახებ და გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განახორციელოს შესაბამისი ჯარიმის თანხის კორექტირება.

3. ექსპორტში/რეექსპორტში დეკლარირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტში გამოცხადების ვადის დარღვევისა და უკანონო განკარგვისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლითა და 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გავალისწინებული სანქციებისაგან პირის გათავისუფლება შესაძლებელია განახორციელოს საბაჟო დეპარტამენტმა, თუ საბაჟო სანქციისაგან გათავისუფლების თხოვნით განცხადება წარმოდგენილია სამართალდამრღვევი პირის მიერ საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, სამართალდამრღვევ პირს განსახილველ ფაქტამდე 12 კალენდარული თვის განმავლობაში ამ პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებული არ ჰქონია და პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით/დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებას გამოცხადების ვადის დარღვევის შემდეგ დატოვებული აქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორია. ამ შემთხვევაში საბაჟო დეპარტამენტი უფლებამოსილია, გამოსცეს ბრძანება საბაჟო სანქციისგან პირის გათავისუფლების შესახებ და გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განახორციელოს შესაბამისი ჯარიმის თანხის კორექტირება, ამასთან:

ა) როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადა დარღვეულია არაუმეტეს 60 კალენდარული დღით, სამართალდამრღვევი პირი თავისუფლდება საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე მუხლითა და 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციებისაგან;

ბ) როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადა დარღვეულია 60 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, სამართალდამრღვევი პირი თავისუფლდება საქართველოს

საბაჟო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციისაგან.

4. საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირებისათვის (რაც გამოწვეულია საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის არასწორად გამოყენებით) საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული სანქციისაგან პირის გათავისუფლება შესაძლებელია განხორციელოს საბაჟო დეპარტამენტმა, თუ:

ა) სამართალდამრღვევ პირს განსახილველ ფაქტამდე 12 კალენდარული თვის განმავლობაში იმავე ქმედების ჩადენისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებული არ ჰქონია;

ბ) საბაჟო დეპარტამენტში წარმოდგენილი საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის ორიგინალის, სათანადოდ დამოწმებული ასლის ან რეტროსპექტიულად გაცემული სერტიფიკატის საფუძველზე, საბაჟო დეკლარაციაში განხორციელებულია შესაბამისი ცვლილება (შემცირებულია იმპორტის გადასახდელის თანხა);

გ) საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების განხორციელებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წარმოდგენილია საბაჟო სანქციისაგან გათავისუფლების თხოვნით განცხადება.

ამ შემთხვევაში საბაჟო დეპარტამენტი უფლებამოსილია, გამოსცეს ბრძანება საბაჟო სანქციისგან პირის გათავისუფლების შესახებ და გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე განხორციელოს შესაბამისი ჯარიმის თანხის კორექტირება.

5. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის უკანონო განკარგვისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციისგან პირის გათავისუფლება შესაძლებელია განხორციელოს საბაჟო დეპარტამენტმა, თუ უკანონოდ განკარგული საქონლის საბაჟო ღირებულება არ აღემატება 25 000 ლარს და სამართალდამრღვევ პირს განსახილველ ფაქტამდე 12 კალენდარული თვის განმავლობაში საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე, 168-ე და 172-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებული არ ჰქონია. ამ შემთხვევაში, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას საბაჟო სანქციის ოდენობის გრაფაში მიუთითოს ნულოვანი თანხა.

შენიშვნა:

ა) თუ უკანონოდ განკარგული საქონლის წინასწარი დეკლარირებისას წარდგენილი იყო შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი, აღნიშნული სერტიფიკატი შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს იმპორტის გადასახდელის დარიცხვის მიზნით გადასახადო მოთხოვნის გამოცემისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეკლარაციისთვის მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms“-ის მიერ შერჩეულია „ყვითელი დერეფანი“ შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის გამოყენების კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ან „წითელი დერეფანი“;

ბ) თუ უკანონოდ განკარგული საქონლის საბაჟო ღირებულება აღემატება 25 000 ლარს და დეკლარაციისთვის მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms“-ის მიერ შერჩეული არ ყოფილა „ყვითელი დერეფანი“ შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის გამოყენების კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ან „წითელი დერეფანი“, იმპორტის გადასახდელისა და შესაფარდებელი ჯარიმის თანხის კორექტირება (შემცირება) შესაძლებელია განხორციელდეს უკანონოდ განკარგული საქონლის წინასწარი დეკლარირებისას წარდგენილი შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატის გათვალისწინებით.

6. გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ჯარიმის თანხის კორექტირება ხორციელდება გადაწყვეტილების მიღებიდან, 5 სამუშაო დღის ვადაში და ეცნობება გადასახადის გადამხდელს.

დანართი №2

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 274-ე და 282-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისაგან ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე პირის გათავისუფლების ღონისძიებები

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, მომსახურების დეპარტამენტი უფლებამოსილია პირი გაათავისუფლოს ამავე კოდექსის 274-ე მუხლის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისაგან, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

ა) გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ან საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თარიღისთვის ან სსკ-ის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე ჯარიმისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღისათვის პირადი აღრიცხვის ბარათზე არ უფიქსირდება აღიარებული საგადასახადო დავალიანება გადასახადის ნაწილში/აღიარებული მოსაკრებლის ნაწილში;

ბ) პირს, საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების დაგვიანებით წარდგენის წინა დღის მდგომარეობით 12 კალენდარული თვის განმავლობაში, იგივე ქმედება ჩადენილი არ ჰქონია.

2. ამავე ბრძანების პირველი პუნქტის მიხედვით მომსახურების დეპარტამენტის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმისაგან გათავისუფლების შემდეგ, პირის მიერ იმავე საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების შემდგომი დაზუსტებისას, როდესაც შესწორებული დეკლარაციით/გაანგარიშებით დამატებით დარიცხული გადასახადის თანხა არ აღემატება პირველადი დეკლარაციით დარიცხული გადასახადის თანხის 50%-ს, მომსახურების დეპარტამენტი უფლებამოსილია არ განახორციელოს დაზუსტებული დეკლარაციით/გაანგარიშებით დაანგარიშებული სანქციის დაკისრება.

3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, მომსახურების დეპარტამენტი უფლებამოსილია პირი გაათავისუფლოს ამავე კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეფარდებული ჯარიმისაგან, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

ა) დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა გამოვლენილია უშუალოდ გადასახადის გადამხდელის მიერ, საგადასახადო ორგანოსთვის შესაბამისი განცხადებით მიმართვის საფუძველზე;

ბ) გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ან ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე ჯარიმისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღისათვის, პირადი აღრიცხვის ბარათზე არ უფიქსირდება აღიარებული საგადასახადო დავალიანება გადასახადების ნაწილში;

გ) დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე პირის მიერ საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენის შემდგომ, მაგრამ დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის ფაქტზე შესაბამისი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის გამოცემამდე, პირს წარდგენილი აქვს დღგ-ის შესაბამისი დეკლარაცია;

დ) დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოში წარდგენილ განცხადებაში პირმა დააფიქსირა ამ განცხადების წარდგენის თვეში (მიმართვის თვის დასაწყისიდან მიმართვის მომენტამდე) განხორციელებული დღგ-ის დასაბეგრი ბრუნვა.

4. ამავე ბრძანების მე-3 პუნქტის მიხედვით მომსახურების დეპარტამენტის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმისაგან გათავისუფლების შემდეგ, პირის მიერ დღგ-ის შესაბამისი დეკლარაცი(ებ)ის ან /და მიმართვის განცხადებაში მითითებული თანხის დაზუსტებისას (რომელთა მიხედვით მოხდა შეფარდებული სანქციის გამოანგარიშება) როდესაც დაზუსტებული მონაცემებით დამატებით დარიცხული თანხა (რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს სანქციის გამოანგარიშება) არ აღემატება პირველადი მონაცემებით დარიცხული თანხის 50%-ს, მომსახურების დეპარტამენტი უფლებამოსილია არ განახორციელოს დაზუსტებული მონაცემებით დაანგარიშებული სანქციის დაკისრება.

5. ამ დანართის მიზნებისათვის საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარმოდგენის თვე ითვლება სრულ კალენდარულ თვედ.

რედაქციაში შემოსულ კითხვებზე პასუხები მოამზადა
ბაჟის საგადასახადო კომიტეტმა

კითხვა:

კომპანიაში არის 2 ერთეული დაზიანებული ძირითად საშუალება, ერთს 2021 წლის ცვეთის დარიცხვის მერე საბალანსო ღირებულება უნუღდება, მეორეს 2022 ის იანვარში დაერიცხება მხოლოდ 1 თვის ცვეთა და მისი საბალანსო ღირებულებაც უნუღდება (ცვეთისათვის ვიყენებთ ნრფივ მეთოდს). გვაინტერესებს, თუ 2021 წლის ბოლოს, შიდა აქტის საფუძველზე, ჩამოვწერთ ამ ძირითად საშუალებებს, დამატებით ხომ არ იქნება საჭირო საგადასახადო კუთხით მოგებით ან დღგ-თი დაბეგვრა? ასევე, საგადასახადოს გარეშე შეიძლება თუ არა ჩამოწერილი ძირითადი საშუალების განადგურება?

პასუხი:

სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალების ჩამოწერა დამატებით დაბეგვრას არ მოითხოვს და ლიკვიდაციის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს მოწვევა, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აუცილებელი არ არის.

თუ თქვენ გულისხმობთ ძირითადი საშუალების შემოსავლების სამსახურის თანდასწრებით ჩამოწერას (როგორც ეს, მაგალითად, ვადაგასული და დაზიანებული სმფ-ის ჩამოწერისას ხდება) მსგავსი პროცედურა საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. რაც შეეხება იმას, მოხდება თუ არა შემოსავლების სამსახურის მოწვევის გარეშე ძირითადი საშუალების მიწოდების აღიარება და დღგ-ით და მოგების გადასახით დაბეგვრა, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მოხდეს შემდეგი მომენტების გათვალისწინება:

თუ საუბარია არაარსებითი ღირებულების ძირითადი საშუალების ჩამოწერაზე და სადაც ძირითადი საშუალების ჩამოწერა სავსებით გონივრულია, ამ შემთხვევაში ასეთი ჩამოწერა, მ.შ. არსებითობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოხდეს ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე (დიდი ალბათობით, არავინ მოგვთხოვს 10 წლის წინ ნაყიდი 20 ლარიანი კალკულატორის ან სტეპლერის ჩამოწერის დადასტურებას) და მიგვაჩნია, რომ თუ ასეთი აქტივების საერთო თანხა იქნება არაარსებითი, მათი ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე აღნიშნული აქტივები არ უნდა დაიბეგროს დღგ-ით.

თუ საუბარია არსებითი ღირებულების მქონე ძირითადი საშუალების ჩამოწერაზე, რომელიც ჩამოწერაც სავსებით გონივრულია და არ იწვევს დამატებით ეჭვებს (მაგალითად 200 ლარიანი სკამი რომელიც 10 წლიანი გამოყენების შედეგად გახდა გამოუსადეგარი), მნიშვნელოვანია ასეთი ძირითადი საშუალების ჩამოწერის დადასტურება შიდა ჩამოწერის აქტით, სადაც იქნება მითითება იმაზე, რომ ძირითადი საშუალების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელია, იდეალურ შემთხვევაში დადასტურებული იქნება ეს ფოტოებით, რის შემდეგაც მოხდება შემოსავლების სამსახურის მოწვევის გარეშე შიდა აქტით ამ ძირითადი საშუალების ჩამოწერა, რაც ამ შემთხვევაში ასევე არ დაიბეგრება.

ამასთან თუ ასეთ აქტივს აქვს ნარჩენი ღირებულება (მაგალითად ჯართის ფასი) დაბეგვრაში უნდა მოექცეს აღნიშნული თანხა.

თუ საუბარია არსებითი ღირებულების ძირითადი საშუალების ჩამოწერაზე, რომელიც ჩამოწერაც არაგონივრულია და საეჭვოა (მაგალითად, ვამბობთ, რომ 150 000-დოლარიანი გენერატორი უცებ გაფუჭდა და იმიტომ, რომ შეკეთება იყო შეუძლებელი, მოხდა მისი განადგურება) ასეთ შემთხვევაში შიდა აქტის არსებობა შესაძლოა, პრაქტიკიდან გამომდინარე, არასაკმარისი იყოს და კარგი იქნება, თუ ჩავატარებთ სანდო ექსპერტიზას რომელიც დაადასტურებს ძირითადი საშუალების ტექნიკურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია. თუ ეს უკანასკნელი არ გვექნება, არის რისკი, რომ გენერატორი მისი რეალური ღირებულებით დაგვიბეგრონ.

ამასთან თუ ასეთ აქტივს აქვს ნარჩენი ღირებულება (მაგალითად ჯართის ფასი) დაბეგვრაში უნდა მოექცეს აღნიშნული თანხა.

კითხვა:

შპს რომელსაც ფიზიკურ პირთან აქვს იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული და საიჯარო ფართზე კომუნალურები ფიზიკურ პირზე (გამქირავებელზე) არის გამოწერილი. ჩავითვლით თუ არა დღგ-ს დავალიარებით თუ არა ამ შემთხვევაში ხარჯად კომუნალურებს, თუ ხელშეკრულების პირობით არის მითითებული, რომ კომუნალურებს იხდის შპს?

ასევე, შპს -ს მიერ კომუნალურების გადახდა ხომ არ ჩაეთვლება სარგებლად ფიზიკურ პირს და ხომ არ დაიბეგრება?

პასუხი:

ამ შემთხვევაში კომუნალური გადასახდელების ხარჯად აღიარება შეგიძლიათ, თუმცა დღგ-ს ვერ ჩაითვლით, თუ ანგარიშ-ფაქტურა თქვენს სახელზე არ არის გამოწერილი.

კითხვა:

მცირე მეწარმე ეწევა მომსახურებას. გწეულ მომსახურებაზე კლიენტთან დებს ხელშეკრულებას, წერს ინვოისს და მიღება - ჩაბარების აქტს. ამის შემდეგ, ბოგიერთი კლიენტი მაინც ითხოვს rs-ზე გამოწერას. კლიენტის დაჟინებული მოთხოვნისას (როგორც გამოწერის) რამდენად არის შესაძლებელი სასაქონლო/ზედნადებში მომსახურება რომ მივუთითოთ და გამოვწეროთ? წინასწარ ვიცი რომ არ შეიძლება, მაგრამ რას დავაშავებ და შემოსავლების სამსახური რითი დამაჯარიმებს?

პასუხი:

მოქმედი კანონმდებლობით მომსახურებაზე სასაქონლო ზედნადების გამოწერა არ ხდება, მაგრამ ამგვარ მოქმედებაზე საგადასახადო კოდექსით ჯარიმა გათვალისწინებული არ არის. თუმცა, სხვა საკითხია, ტექნიკურად რამდენად მოახერხებთ ამას.

კითხვა:

დღგ-ს გადამხდელმა შპს-მ, ინვოისის საფუძველზე, საზღვარგარეთ მომწოდებელთან თანხა გადარიცხათებერვალში. საქონელი ჯერ არ ჩამოსულა. ეს თანხა უნდა დაიბეგროს თუ არა მოგების გადასახადით, როგორც გადახდილი ავანსი და დადეკლარირდეს თებერვალში?

პასუხი:

თუ საქონლის მომწოდებელი არარეზიდენტი არ წარმოადგენს შეღავათიანი დაბეგვრის მექანიზმში რეგისტრირებულ პირს, მაშინ მისთვის გადახდილი ავანსის მოგების გადასახადით დაბეგვრა საჭირო არ არის.

კითხვა:

ინდივიდუალურმა მეწარმემ დაახლოებით 20 000 ლარის საქონელი გადაანერგა სხვა ინდივიდუალურ მეწარმეს, რომელსაც თანხა ჯერ არ გადაუხდია, გავუწერეთ საქონელი rs-ზე და თანხას გადაიხდის სავარაუდოდ ნელნელა, ხელზე მისცემს, მაგრამ წლის ბოლოს უნდა დაადეკლარიროს თუ არა განერილი საქონელი და დაბეგროს თუ არა გადაუხდელობის გამო?

პასუხი:

თუ ამ საქონელზე საკუთრების უფლება გადაცემულია, მაშინ მიწოდება განხორციელებულია საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში, თუმცა, რაკი საუბარი ინდემწარმეზეა, შემოსავლის აღიარება იმაზეა დამოკიდებული, რომელი მეთოდით აღიცხავს იგი შემოსავლებს და ხარჯებს - დარიცხვის მეთოდით თუ საკასო მეთოდით.

1. დარიცხვის მეთოდის შემთხვევაში შემოსავლის აღიარება ხდება საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში, თანხის მიღების მომენტის მიუხედავად;
2. საკასო მეთოდის შემთხვევაში შემოსავლის აღიარება ხდება თანხის მიღების ან მოვალისთვის ვალის გაუქმების (ამ შემთხვევაში - გადაუხდელოდ აღიარების) მომენტში.

რაკი საქონლის მიმღებიც ინდემწარმეა, მისთვის ვალის ჩამოწერის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის დაკავება არ მოგიწევთ.

კითხვა:

შპს-ს შემოსავალი აღემატება 100000 ლარს, მაგრამ მისი შემოსავალი არ არის დასაბეგრი ოპერაცია (ანუ განთავისუფლებულია დღგს გადასახადისგან). ამ შემთხვევაში მაინც აუცილებელია დარეგისტრირდეს დღგს გადამხდელად და დღგ-ს დეკლარაციაში ასახოს შემოსავალი განთავისუფლებული ოპერაციების ნაწილში თუ ეს ვალდებულება არ გვაქვს ოპერაციის შინაარსის მიხედვით?

პასუხი:

ზოგადად, თუ პირი მხოლოდ დღგ-ისგან გათავისუფლებულ ოპერაციებს ეწევა, მაშინ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება (შემოსავლის ოდენობის მიუხედავად) მას არ წარმოეშობა, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია გამო-ნაკლისი შემთხვევები, როდესაც გათავისუფლებული ბრუნვები შედის 100 000 ლარის სათვალავში და იწვევს სავალდებულო რეგისტრაციას. კერძოდ სსკ-ის 165-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით: „დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება ამ კოდექსის შესაბამისად დღგ-ისგან გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები, გარდა:

- ა) ამ კოდექსის შესაბამისად დღგ-ისგან გათავისუფლებული ფინანსურ ან უძრავ ნივთთან დაკავშირებული ოპერაციებისა, თუ მათი განხორციელება დასაბეგრი პირის ძირითადი საქმიანობაა;
- ბ) საქონლის ექსპორტის ოპერაციებისა;
- გ) საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად დღგ-ისგან გათავისუფლებული ოპერაციებისა“.

შესაბამისად, თუ თქვენს შემთხვევაში ადგილი არ აქვს 165-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებს, დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოგეშობათ.

კითხვა:

კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხულია თანხა. ამ თანხაზე ბანკთან გაფორმდა საგარანტიო ხელშეკრულება, რის შემდეგ ეს თანხა გაიყინა და კომპანიას აღარ აქვს საშუალება ეს თანხა გამოიყენოს, სანამ არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს ანუ, სრულად არ მიაწვდის კლიენტს საქონელს. ეს თანხა კლიენტის მიერ ავანსად გადახდილად ითვლება თუ არა (ჩარიცხვა მოხდა გასულ თვეში, მიმდინარე თვეში)?

პასუხი:

ჩვენი აზრით, ეს თანხა ავანსად უნდა ჩაითვალოს და დაიბეგროს დღგ-ით, თუ სრულდება საგადასახადო კოდექსითა და ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანების 481 მუხლით დადგენილი წინაპირობები:

- ცნობილია საქონლის/მომსახურების დასახელება
- ცნობილია საქონლის/მომსახურების რაოდენობა
- ცნობილია საქონლის/მომსახურების ღირებულება
- ცნობილია დასაბეგრი ოპერაციის სახე (18%-ით დასაბეგრი/გათავისუფლებული).

კითხვა:

ვართ შპს და კლიენტებს, რომლებიც შეასრულებენ ჩვენს მიერ დადგენილ გეგმებს, ფირმა პირდება საჩუქრის გაკეთებას, კერძოდ აიფონების ჩუქებას, რომელსაც უსასყიდლოდ გადასცემს იმ ფირმებს ვინც თავი გამოიჩინა გეგმის შესრულების კუთხით. ოპერაცია სრულად ფორმდება დოკუმენტურად rs-ზე და გვაინტერესებს, ეს ოპერაცია რითი იქნება დასაბეგრი?

პასუხი:

თუ მიმღები მხარეებიც ე.წ. „ესტონური მოდელის“ საწარმოები არიან და ისინი არ არიან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირები, მაშინ 2020 წელს სსკ-ში შესული ცვლილების შემდეგ მოგების გადასახადით დაბეგვრა არცერთ შემთხვევაში არ მოგიწევთ. ფიზიკური პირების შემთხვევაში დაბეგვრა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეძლებს თქვენი კომპანია იმის დადასტურებას, რომ ეს ოპერაცია არის კავშირში მოგების/შემოსავლის მიღებასთან.

რაც შეეხება დღგ-ს, 2021 წლამდე ეს ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება, თუმცა 2021 წლის 1 იანვრის შემდგომ დაბეგვრა-არდაბეგვრა შესაძლოა დამოკიდებული იყოს რამდენიმე ფაქტორზე, მ.შ. იმაზე, მიღებული აქვს თუ არა დღგ-ის ჩათვლა თქვენს კომპანიას ამ საქონლის შეძენის შემდგომ.

კითხვა:

2021 წლის მარტში კლიენტს ჩარიცხული ჰქონდა 200 დოლარის ექვივალენტი ლარში, ხოლო საქონელი წაიღო 180 დოლარის (ექვივალენტი ლარში), 20 დოლარი დარჩა ბედშეობაში. ეს თანხა ავანსად არ დაიბეგრა იმიტომ რომ ავანსის პირობა არ იყო შესრულებული. ეხლა კლიენტი იღებს 50 დოლარის საქონელს და გვაინტერესებს, ის 20 დოლარი პერიოდიდან ხდება ავანსი და დასაბეგრი თანხა, ანუ 20 დოლარი იმ დღის (ჩარიცხვის) კურსით უნდა ჩავთვალოთ და 30 დოლარი წაღების დღის კურსით, თუ როგორ იქნება დაბეგვრის პირობები?

პასუხი:

თუ არ არის სახეზე ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანების 481 მუხლით დადგენილი წინაპირობები, აღნიშნული 20 დოლარი ავანსად ვერ ჩაითვლება. დაბეგვრაში იგი მოჰყვება მაშინ, როცა მისი ჩართვა მოხდება 50 დოლარში.

რაც შეეხება კურსებს, ეს დამოკიდებულია სახელშეკრულებო პირობებზე, კერძოდ, იმაზე, თუ რა კურსით უნდა მოხდეს ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ. თუ ხელშეკრულების მიხედვით ანგარიშსწორება უნდა მოხდეს, მაგალითად, დოლარის ექვივალენტით ლარებში, გადახდის დღეს არსებული კურსით, მაშინ 20 დოლარი აღირიცხება იმ დღის კურსით, როცა ჩაგერიცხათ 200 დოლარი, ხოლო 30 დოლარი - მისი ჩარიცხვის დღის კურსით.

კითხვა:

დამავინწყდა გაუქმებული სალარო აპარატის ჩეკის ატვირთვა რს-ზე (2021წელს).
თუ შეიძლება მაგ ჩეკის ატვირთვა ეხლა და თუ არ შეიძლება რითი დამაჯარიმებენ?

პასუხი:

თუ შეცდომით ამობეჭდილ სსა-ს ჩეკს გულისხმობთ, აღნიშნულზე უნდა შედგეს ე.წ. ფიქსაციის აქტი. ჩვენი ამრით ამ ჩეკის ატვირთვა შესაძლებელია.

კითხვა:

შპს-მ საქონელი შეიტანა უკრაინის დასახმარებლად ფონდში, რომელსაც საქველმოქმედო სტატუსი არა აქვს. რაიმე სიახლე ხომ არ არის მთავრობიდან ასეთ შემთხვევაში დაბეგვრასთან დაკავშირებით, რომ დამატებით გადასახდებს ავცდეთ და თუ სტატუსი არა აქვს ხომ არ ჩაგვეთვლება უსასყიდლო მიწოდებად?

პასუხი:

დიახ, მოგების გადასახადის მიზებისთვის ეს ოპერაცია ჩაგვეთვლებათ საქონლის უსასყიდლო მიწოდებად. დღგ-ის მიზნებისთვის გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება, მ.შ. დღგ-ის ჩათვლის მიღების არსებობა/არ არსებობა.

კითხვა:

ფირმამ დახმარების თანხა გადაურიცხა არათანამშრომელ ფიზიკურ პირს 2000 ლარის ოდენობით. თანხას ვბეგრავთ მოგების გადასახადით და საპენსიოს 2 %-ით. ეკუთვნის თუ არა ფირმას ან ფიზიკურ პირს სხვა სახის რაიმე გადასახადით დაბეგვრა?

პასუხი:

ჩვენი ამრით, ეს თანხა უნდა დაბეგრილიყო საშემოსავლო გადასახადით სსკ-ის 154-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და არა მოგების გადასახადით. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შემთხვევაში საპენსიო შენატანის დაკავება არ უნდა მომხდარიყო.

ინფორმაცია გირშეხიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2022 წლის აპრილში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიური კრონა	ევრო	ფუნტი სტერლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური გლთი	რუმინული ლეი	უკრაინული ფირინი	შვედური კრონა	შვეიცარული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.04.22	1,7542	4,6081	3,4276	4,0545	2,4139	2,9110	3,5353	7,3599	6,9292	0,9250	3,3144	3,3401	1,4020	3,0896
02.04.22	1,7476	4,5968	3,4195	4,0629	2,4081	2,9043	3,5313	7,3592	6,9140	0,9278	3,3076	3,3457	1,4019	3,0918
03.04.22	1,7476	4,5968	3,4195	4,0629	2,4081	2,9043	3,5313	7,3592	6,9140	0,9278	3,3076	3,3457	1,4019	3,0918
04.04.22	1,7476	4,5968	3,4195	4,0629	2,4081	2,9043	3,5313	7,3592	6,9140	0,9278	3,3076	3,3457	1,4019	3,0918
05.04.22	1,7394	4,5707	3,3998	4,0503	2,4009	2,8880	3,5349	7,3136	6,8767	0,9203	3,2762	3,3325	1,3971	3,0902
06.04.22	1,7301	4,5473	3,3822	4,0500	2,3885	2,8727	3,5406	7,3046	6,8413	0,9123	3,2873	3,3326	1,3892	3,0857
07.04.22	1,7199	4,5217	3,3633	4,0350	2,3783	2,8571	3,5193	7,2350	6,8026	0,8889	3,2693	3,3032	1,3752	3,0839
08.04.22	1,7167	4,5144	3,3577	4,0309	2,3848	2,8523	3,5049	7,2343	6,7948	0,8824	3,2566	3,3040	1,3705	3,0836
09.04.22	1,7107	4,5009	3,3473	4,0124	2,3875	2,8436	3,5131	7,2035	6,7738	0,8881	3,2497	3,2887	1,3663	3,0749
10.04.22	1,7107	4,5009	3,3473	4,0124	2,3875	2,8436	3,5131	7,2035	6,7738	0,8881	3,2497	3,2887	1,3663	3,0749
11.04.22	1,7107	4,5009	3,3473	4,0124	2,3875	2,8436	3,5131	7,2035	6,7738	0,8881	3,2497	3,2887	1,3663	3,0749
12.04.22	1,7158	4,5102	3,3544	4,0105	2,3962	2,8479	3,5144	7,2195	6,7896	0,8861	3,2553	3,2918	1,3726	3,0755
13.04.22	1,7142	4,5072	3,3518	4,0152	2,4010	2,8471	3,5075	7,2057	6,7836	0,8875	3,2492	3,3056	1,3714	3,0841
14.04.22	1,7065	4,4877	3,3380	4,0091	2,3912	2,8343	3,4993	7,1959	6,7559	0,8826	3,2297	3,3016	1,3651	3,0830
15.04.22	1,7152	4,5067	3,3526	4,0369	2,3878	2,8469	3,5135	7,2160	6,7807	0,8910	3,2550	3,2885	1,3719	3,0741
16.04.22	1,6969	4,4620	3,3190	4,0136	2,3642	2,8188	3,4967	7,1664	6,7148	0,8828	3,2172	3,2586	1,3574	3,0706
17.04.22	1,6969	4,4620	3,3190	4,0136	2,3642	2,8188	3,4967	7,1664	6,7148	0,8828	3,2172	3,2586	1,3574	3,0706
18.04.22	1,6969	4,4620	3,3190	4,0136	2,3642	2,8188	3,4967	7,1664	6,7148	0,8828	3,2172	3,2586	1,3574	3,0706
19.04.22	1,6899	4,4440	3,3053	3,9873	2,3541	2,8071	3,4691	7,1516	6,6886	0,8812	3,1972	3,2484	1,3528	3,0613
20.04.22	1,6839	4,4266	3,2930	3,9756	2,3523	2,7972	3,4469	7,0929	6,6655	0,8816	3,1833	3,2194	1,3492	3,0530
21.04.22	1,6802	4,4167	3,2864	3,9540	2,3573	2,7930	3,4504	7,1000	6,6476	0,8850	3,2098	3,1937	1,3462	3,0273
22.04.22	1,6930	4,4494	3,3105	3,9693	2,3816	2,8135	3,4543	7,1270	6,6971	0,8901	3,2265	3,2023	1,3572	3,0358
23.04.22	1,6930	4,4494	3,3105	3,9693	2,3816	2,8135	3,4543	7,1270	6,6971	0,8901	3,2265	3,2023	1,3572	3,0358
24.04.22	1,6930	4,4494	3,3105	3,9693	2,3816	2,8135	3,4543	7,1270	6,6971	0,8901	3,2265	3,2023	1,3572	3,0358
25.04.22	1,6930	4,4494	3,3105	3,9693	2,3816	2,8135	3,4543	7,1270	6,6971	0,8901	3,2265	3,2023	1,3572	3,0358
26.04.22	1,6930	4,4494	3,3105	3,9693	2,3816	2,8135	3,4543	7,1270	6,6971	0,8901	3,2265	3,2023	1,3572	3,0358
27.04.22	1,6603	4,3653	3,2473	3,8637	2,3465	2,7596	3,3120	6,9868	6,5658	0,8652	3,1222	3,1706	1,3294	3,0368
28.04.22	1,6549	4,3495	3,2366	3,8400	2,3421	2,7514	3,2994	6,8669	6,5416	0,8528	3,1056	3,1657	1,3190	3,0517
29.04.22	1,6446	4,3212	3,2157	3,8188	2,3303	2,7336	3,2559	6,8532	6,4989	0,8522	3,1128	3,1465	1,3104	3,0597
30.04.22	1,6535	4,3456	3,2338	3,8471	2,3467	2,7488	3,2963	6,9104	6,5357	0,8562	3,1306	3,1544	1,3166	3,0591

თარიღი	კანადური დოლარი	ავსტრალიური დოლარი	ევროპული მონეტა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აზს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპური დოლარი	შვეიცარი ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგადაიწყო დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.04.22	2,4669	2,3132	1,6919	0,2106	2,5356	8,4117	0,7356	9,7277	2,2813	10,1632	4,8716	3,9462	4,0766	2,1420
02.04.22	2,4748	2,3223	1,6913	0,2104	2,5262	8,4176	0,7361	9,6743	2,2801	10,1671	4,8604	3,9458	4,0795	2,1466
03.04.22	2,4748	2,3223	1,6913	0,2104	2,5262	8,4176	0,7361	9,6743	2,2801	10,1671	4,8604	3,9458	4,0795	2,1466
04.04.22	2,4748	2,3223	1,6913	0,2104	2,5262	8,4176	0,7361	9,6743	2,2801	10,1671	4,8604	3,9458	4,0795	2,1466
05.04.22	2,4724	2,3204	1,6921	0,2101	2,5173	8,4133	0,7358	9,6232	2,2767	10,1551	4,8566	3,9439	4,0903	2,1409
06.04.22	2,4757	2,3522	1,6900	0,2096	2,5101	8,4010	0,7347	9,6266	2,2756	10,1337	4,8495	3,9395	4,0960	2,1584
07.04.22	2,4685	2,3333	1,6860	0,2092	2,4872	8,3961	0,7343	9,5619	2,2689	10,1145	4,8468	3,9349	4,0708	2,1433
08.04.22	2,4561	2,3056	1,6830	0,2090	2,4908	8,3953	0,7342	9,5518	2,2654	10,1168	4,8467	3,9347	4,0595	2,1271
09.04.22	2,4421	2,2948	1,6771	0,2085	2,4776	8,3716	0,7321	9,5340	2,2568	10,0883	4,8316	3,9228	4,0510	2,1100
10.04.22	2,4421	2,2948	1,6771	0,2085	2,4776	8,3716	0,7321	9,5340	2,2568	10,0883	4,8316	3,9228	4,0510	2,1100
11.04.22	2,4421	2,2948	1,6771	0,2085	2,4776	8,3716	0,7321	9,5340	2,2568	10,0883	4,8316	3,9228	4,0510	2,1100
12.04.22	2,4426	2,2903	1,6704	0,2088	2,4512	8,3733	0,7323	9,5756	2,2539	10,0836	4,8292	3,9235	4,0491	2,1046
13.04.22	2,4384	2,2946	1,6665	0,2100	2,4559	8,3967	0,7343	9,5845	2,2622	10,1118	4,8415	3,9355	4,0506	2,1092
14.04.22	2,4373	2,2879	1,6741	0,2113	2,4459	8,3937	0,7340	9,6214	2,2601	10,1049	4,8430	3,9332	4,0468	2,0887
15.04.22	2,4505	2,2877	1,6714	0,2103	2,4528	8,3695	0,7319	9,5967	2,2695	10,0856	4,8248	3,9204	4,0351	2,0959
16.04.22	2,4383	2,2753	1,6684	0,2098	2,4285	8,3599	0,7311	9,5310	2,2630	10,0576	4,8191	3,9146	4,0305	2,0816
17.04.22	2,4383	2,2753	1,6684	0,2098	2,4285	8,3599	0,7311	9,5310	2,2630	10,0576	4,8191	3,9146	4,0305	2,0816
18.04.22	2,4383	2,2753	1,6684	0,2098	2,4285	8,3599	0,7311	9,5310	2,2630	10,0576	4,8191	3,9146	4,0305	2,0816
19.04.22	2,4219	2,2556	1,6584	0,2090	2,4179	8,3346	0,7289	9,4450	2,2500	10,0305	4,8079	3,9034	4,0138	2,0633
20.04.22	2,4230	2,2485	1,6511	0,2082	2,3792	8,3120	0,7269	9,4060	2,2337	9,9902	4,7835	3,8928	3,9907	2,0580
21.04.22	2,4139	2,2532	1,6371	0,2064	2,3675	8,2420	0,7208	9,3829	2,2199	9,9126	4,7223	3,8600	3,9724	2,0571
22.04.22	2,4325	2,2605	1,6362	0,2067	2,3721	8,2652	0,7228	9,4171	2,2307	9,9469	4,7081	3,8700	3,9861	2,0625
23.04.22	2,4325	2,2605	1,6362	0,2067	2,3721	8,2652	0,7228	9,4171	2,2307	9,9469	4,7081	3,8700	3,9861	2,0625
24.04.22	2,4325	2,2605	1,6362	0,2067	2,3721	8,2652	0,7228	9,4171	2,2307	9,9469	4,7081	3,8700	3,9861	2,0625
25.04.22	2,4325	2,2605	1,6362	0,2067	2,3721	8,2652	0,7228	9,4171	2,2307	9,9469	4,7081	3,8700	3,9861	2,0625
26.04.22	2,4325	2,2605	1,6362	0,2067	2,3721	8,2652	0,7228	9,4171	2,2307	9,9469	4,7081	3,8700	3,9861	2,0625
27.04.22	2,3842	2,1907	1,6414	0,2054	2,3768	8,2679	0,7230	9,2296	2,2108	9,9339	4,6399	3,8704	3,9656	2,0161
28.04.22	2,3765	2,1817	1,6505	0,2059	2,3873	8,3085	0,7266	9,1944	2,2139	9,9696	4,6587	3,8887	3,9877	2,0089
29.04.22	2,3803	2,1712	1,6542	0,2066	2,3464	8,3302	0,7285	9,2099	2,2066	9,9762	4,6271	3,8995	4,0001	1,9833
30.04.22	2,4004	2,1915	1,6544	0,2063	2,3515	8,3286	0,7284	9,2042	2,2175	9,9775	4,6425	3,8981	4,0023	1,9991

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული მანათი	ბელორუსული რუბლი	თურქმენული მანათი	მოლდავური ლეი	სომხური დრამი	ტაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდი	ბრაზილიური რიალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.04.22	3,7593	1,8205	1,1242	8,8274	1,6860	6,3728	2,3840	0,2774	1,0461	0,6563	3,2360	2,1280	0,6475
02.04.22	3,7211	1,8218	1,1250	8,8337	1,6867	6,4004	2,3856	0,2714	1,0489	0,6516	3,2383	2,1179	0,6521
03.04.22	3,7211	1,8218	1,1250	8,8337	1,6867	6,4004	2,3856	0,2714	1,0489	0,6516	3,2383	2,1179	0,6521
04.04.22	3,7211	1,8218	1,1250	8,8337	1,6867	6,4004	2,3856	0,2714	1,0489	0,6516	3,2383	2,1179	0,6521
05.04.22	3,6626	1,8225	1,1244	8,8291	1,6854	6,4104	2,3844	0,2710	1,0484	0,6590	3,2367	2,1088	0,6633
06.04.22	3,6624	1,8198	1,1228	8,8163	1,6825	6,4479	2,4684	0,2707	1,0444	0,6618	3,5916	2,1217	0,6717
07.04.22	3,6963	1,8188	1,1222	8,8111	1,6795	6,4644	2,4669	0,2709	1,0471	0,6622	3,5951	2,1045	0,6630
08.04.22	3,8660	1,8186	1,1220	8,8103	1,6775	6,4782	2,4618	0,2712	1,0445	0,6776	3,4883	2,0946	0,6538
09.04.22	3,8706	1,8135	1,1189	8,7854	1,6707	6,4631	2,4598	0,2706	1,0409	0,6927	3,3824	2,0882	0,6470
10.04.22	3,8706	1,8135	1,1189	8,7854	1,6707	6,4631	2,4598	0,2706	1,0409	0,6927	3,3824	2,0882	0,6470
11.04.22	3,8706	1,8135	1,1189	8,7854	1,6707	6,4631	2,4598	0,2706	1,0409	0,6927	3,3824	2,0882	0,6470
12.04.22	3,7861	1,8138	1,1191	8,7871	1,6706	6,4952	2,4603	0,2711	1,0410	0,6815	3,3516	2,1051	0,6545
13.04.22	3,6885	1,8189	1,1222	8,8117	1,6730	6,5402	2,4669	0,2723	1,0442	0,6881	3,5820	2,1157	0,6569
14.04.22	3,7596	1,8144	1,1218	8,8086	1,6696	6,5473	2,4664	0,2724	1,0461	0,6860	3,5637	2,1282	0,6594
15.04.22	3,7324	1,8126	1,1186	8,7831	1,6653	6,5302	2,4616	0,2713	1,0456	0,6781	3,5900	2,0967	0,6553
16.04.22	3,7795	1,8109	1,1173	8,7731	1,6629	6,5193	2,4562	0,2713	1,0415	0,6739	3,6494	2,0961	0,6531
17.04.22	3,7795	1,8109	1,1173	8,7731	1,6629	6,5193	2,4562	0,2713	1,0415	0,6739	3,6494	2,0961	0,6531
18.04.22	3,7795	1,8109	1,1173	8,7731	1,6629	6,5193	2,4562	0,2713	1,0415	0,6739	3,6494	2,0961	0,6531
19.04.22	3,7775	1,8054	1,1139	8,7466	1,6568	6,4996	2,4488	0,2709	1,0365	0,6844	3,6358	2,0966	0,6511
20.04.22	3,8419	1,8005	1,1109	8,7229	1,6521	6,4939	2,4456	0,2707	1,0439	0,6835	3,6292	2,0578	0,6561
21.04.22	3,7342	1,7854	1,1016	8,6494	1,6368	6,4599	2,4272	0,2686	1,0297	0,6829	3,6915	2,0178	0,6485
22.04.22	3,7999	1,7900	1,1047	8,6737	1,6417	6,5023	2,4350	0,2691	1,0328	0,6838	3,6462	1,9949	0,6568
23.04.22	3,7999	1,7900	1,1047	8,6737	1,6417	6,5023	2,4350	0,2691	1,0328	0,6838	3,6462	1,9949	0,6568
24.04.22	3,7999	1,7900	1,1047	8,6737	1,6417	6,5023	2,4350	0,2691	1,0328	0,6838	3,6462	1,9949	0,6568
25.04.22	3,7999	1,7900	1,1047	8,6737	1,6417	6,5023	2,4350	0,2691	1,0328	0,6838	3,6462	1,9949	0,6568
26.04.22	3,7999	1,7900	1,1047	8,6737	1,6417	6,5023	2,4350	0,2691	1,0328	0,6838	3,6462	1,9949	0,6568
27.04.22	4,1294	1,7906	1,1050	8,6766	1,6455	6,5891	2,4417	0,2701	1,0384	0,6715	3,6357	1,9426	0,6226
28.04.22	4,1074	1,7998	1,1104	8,7191	1,6509	6,6794	2,4481	0,2718	1,0358	0,6834	3,6245	1,9220	0,6104
29.04.22	4,2093	1,8045	1,1133	8,7420	1,6482	6,7338	2,4532	0,2731	1,0111	0,6860	3,6341	1,9228	0,6158
30.04.22	4,2909	1,8047	1,1131	8,7403	1,6400	6,8264	2,4519	0,2736	1,0109	0,6895	3,6418	1,9250	0,6190

ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანაცვლებების კომპრომენტირება.

